სს „გრინ დაზღვევა საქართველო“

წლიური ანგარიში

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სს „გრინ დაზღვევა საქართველოს“ (ს/კ 404990435)

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - რაულ კახაძე

გენერალური დირექტორი - ეკა ცენტერაძე

ფინანსური დირექტორი - ლევან ელიაური

<u>თანახმად:</u>

საქართველოს ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის მე-11 მუხლისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 2020 წლის 07 ოქტომბრის N181/04 ბრძანებისა

<u>ვაცხადებთ, რომ</u>

- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით მომზადებული სს „გრინ დაზღვევა საქართველოს“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება სწორად და სამართლიანად ასახავს ემიტენტის აქტივებს, ვალდებულებებს, ფინანსურ მდგომარეობას და მოგება-ზარალს.
- სს „გრინ დაზღვევა საქართველოს“ 2022 წლის მმართველობითი ანგარიშგება სამართლიანად და ამომწურავად მიმოიხილავს ემიტენტის საქმიანობის განვითარებას, შედეგებსა და მდგომარეობას, ასევე არსებული ძირითადი რისკების აღწერას.

აღნიშნულს ვეთანხმებით და ვადასტურებთ ხელმოწერით:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

რაულ კახაძე

გენერალური დირექტორი - ეკა ცენტერაძე

ფინანსური დირექტორი - ლევან ელიაური

ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს გრინ დაზღვევა საქართველო

2022 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

სარჩევი

	დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
	ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
	მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	9
	კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	10
	ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	11
1	ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია	12
2	შედგენის საფუძველი	12
2.1	განცხადება შესაბამისობის თაობაზე	12
2.2	მომზადების საფუძველი	12
2.3	საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა	12
2.4	შეფასების და მოსაზრებების გამოყენება	13
2.5	ახალი და შესწორებული სტანდარდების გამოყენება	13
3	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო	15
3.1	უცხოური ვალუტა	15
3.2	სადაზღვევო ხელშეკრულებები	16
3.3	მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	16
3.4	ვალდებულებები სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან	16
3.5	ვალდებულების ადეკვატურობის ტესტი	17
3.6	გადავადებული აკვიზიციური ხარჯები	17
3.7	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	17
3.8	ფინანსური აქტივები	17
3.9	რეგრესი და სხვა მისაღები მოთხოვნები	17
3.10	ურთიერთგაქვითვა	18
3.11	ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი	18
3.12	ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა	18
3.13	იჯარა	19
3.14	მოგების გადასახადი	20
3.15	კაპიტალი	20
3.16	შემოსავლისა და ხარჯის აღიარება	21
3.17	არაფინანსური აქტივების გაუფასურება	21
3.18	არამატერიალური აქტივები	22
3.19	ფული საბანკო ანგარიშებზე და საბანკო ანაბრები	22
4	ფული საბანკო ანგარიშებზე	23
5	საბანკო ანაბრები	23

6	მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	23
7	გადაზღვევის აქტივები	24
8	აქტივი გამოყენების უფლებით	24
9	სააქციო კაპიტალი	24
10	ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან	25
11	სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	25
12	იჯარა	26
13	სავაჭრო და ხვა ვალდებულებები	27
14	წმინდა გამომუშავებული პრემია	28
15	ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები და დარეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯები	30
16	შემოსავალი რეგრესიდან	30
17	აკვიზიციური ხარჯები, გადაზღვევის შემდგომ	30
18	საპროცენტო შემოსავალი	31
19	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	31
20	საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	31
21	მოგების გადასახადის ანაზღაურება/(ხარჯი)	32
22	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები	32
23	ფინანსური რისკების მართვა	33
24	სამართლიანი ღირებულება	35
25	კაპიტალის მართვა	36
26	პირობითი ვალდებულებები	37
27	დაკავშირებული მხარეები	37
28	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	37
29	საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	38
მმართველობითი ანგარიშგება		39

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანთ თორნთონ
ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო
ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC
54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia
T + 995 322 604 406

სს გრინ დაზღვევა საქართველოს აქციონერებს და სამეთვალყურეო საბჭოს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს გრინ დაზღვევა საქართველოს (“კომპანია”) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად;

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობის ანგარიშგება

მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. მმართველობის ანგარიშგება, რომელიც მხოლოდ ქართულ ენაზე მომზადდა მენეჯმენტის მიერ, მოიცავს ინფორმაციას კომპანიაის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზს, სამომავლო გეგმებს და სხვა ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა,

„მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- „მმართველობის ანგარიშგებაში“ იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად;
- „მმართველობის ანგარიშგება“ მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაბამის მარეგულირებელ ნორმებთან.

აუდიტის ძირითადი საკითხები

სადაზღვევო პრემიები	*როგორ გადაიჭრა საკითხი ჩვენი აუდიტის შედეგად*
სადაზღვევო პრემია წარმოადგენსკომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს. მთლიანი მოზიდული პრემია (GWP) წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდში გამოწერილი სადაზღვევო პოლისების მიხედვით პოლისის მოქმედების მთელ პერიოდში მისაღებ მთლიან პრემიას. გამომუშავებული პრემია წარმოადგენს მოზიდული პრემიის იმ ნაწილს, რომელიც გამომუშავდება საანგარიშგებო პერიოდში. ჩვენი აზრით, პრემიებიდან მიღებული შემოსავლების აღიარება მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტისთვის, რადგან კომპანიამ შეიძლება არასწორად აღრიცხოს სადაზღვევო პოლისები. მოზიდული და გამომუშავებული პრემიის მუხლების მნიშვნელოვნება ასევე გამოწვეულია მათი მოცულობისა და ფინანსური ანგარიშგების სხვა მუხლებთან მგრძნობიარე კავშირის გამო.	მოზიდულ პრემიებთან დაკავშირებით სხვადასხვა ტიპის დაზღვევების ფარგლებში ჩვენ ჩავატარეთ შემდეგი პროცედურები: • გავაკეთეთ ანალიტიკური პროცედურები და გადავთვალეთ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამომუშავებული პრემია; • ჩავატარეთ დროში გამიჯვნის პროცედურები იმის უზრუნველსაყოფად, რომ გამოუმუშავებელი პრემია შემოსავლის სახით არ არის აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში; • იმაში დასარწმუნებლად, რომ მოზიდული პრემიების აღრიცხვის რეესტრში მითითებული ინფორმაცია შეესაბამება რეალურად გამოწერილ პოლისებს/ხელშეკრულებებს ჩვენ შერჩევით საფუძველზე გადავხედეთ გაფორმებულ სადაზღვევო კონტრაქტებს; • შერჩევის საფუძველზე მოვახდინეთ სადაზღვევოკონტრაქტების ტესტირება იმასთან დაკავშირებით, შეიცავენ თუ არა ისინი გადაზღვევის სათანადო დონეს და ასევე იმ მიზნით რომ გადამზღვევლის კუთვნილი პრემიები არის თუ არა გამოკლებული მოზიდული პრემიიდან; • აუდიტის პროცესში შევისწავლეთ კომპანიაში დანრეგილი კონტროლები და მოვახდინეთ მათი ტესტირება; • ჩვენ გადავხედეთ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ გამომუშავებული პრემიის შესაბამის განმარტებით შენიშვნებს, რომ შეგვეფასებინა მათი შესაბამისობა ფასს-ის მოთხოვნებთან.

სადაზღვევო ზარალები	*როგორ გადაიჭრა საკითხი ჩვენი აუდიტის შედეგად*
სადაზღვევო ზარალები კომპანიის ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილია. სულ წარმოშობილი ზარალები მოიცავს როგორც ანაზღაურებულ ზარალებს, ასევე განცხადებულ, მაგრამ დაურეგულირებელ ზარალებს (RBNS) და მომხდარ, მაგრამ განუცხადებელ ზარალებს (IBNR).	სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებით სხვადასხვა ტიპის დაზღვევის ფარგლებში ჩვენ ჩავატარეთ შემდეგი პროცედურები: • მოვიპოვეთ ზარალების რეესტრი და შერჩევის საფუძველზე დავტესტეთ რეესტრში ზარალების ასახვის სისრულე; • ჩავატარეთ ძირითადი პროცედურები და ანალიტიკური მიმოხილვა აუნაზღაურებელი ზარალების შესახებ;

სადაზღვევო კომპანიებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია სადაზღვევო ზარალების ოდენობა და შესაბამისად მათი სწორად აღიარება.

ზარალების ანაზღაურება მივიჩნიეთ ისეთ არედ, რომლის მიმართაც საჭიროა აუდიტორის განსაკუთრებული ყურადღება და ერთ-ერთ ისეთ საკითხად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების აუდიტისას ყველაზე მნიშვნელოვანია.

- შერჩევით გადავამოწმეთ ანაზღაურებული ზარალები გადახდის დოკუმენტაციასთან და სადაზღვევო ხელშეკრულებებთან;
- განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალებისთვის (RBNS), ჩვენ რეესტრში არსებული შესაბამისი ჩანაწერები შევუდარეთ შესაბამის დოკუმენტაციას (ზარალის ნომერი, დაზღვეული, დაზღვევის ხაზი, თანხა, შემთხვევის თარიღი, გაცხადების თარიღი, ტრანზაქციის თარიღი და ა.შ)
- აუდიტის პროცესში შევისწავლეთ კომპანიაში დანრეგილი კონტროლები და მოვახდინეთ მათი ტესტირება;
- ჩვენ გადავხედეთ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ გამომუშავებული პრემიის შესაბამის განმარტებით შენიშვნებს, რომ შეგვეფასებინა მათი შესაბამისობა ფასს-ის მოთხოვნებთან.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთას შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებზე ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.

- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.

- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.

- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობეთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

შპს გრანთ თორნთონის სახელით

ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი

რეგისტრირებული აუდიტორი (რეგისტრაციის N - SARAS-A-774309)

31 მარტი 2023

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	2,675	1,507
ბანკებში განთავსებული თანხები	5	11,269	11,359
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	6	567	806
გადაზღვევის აქტივები	0	332	178
წინასწარ გადახდილი გადასახადები		133	261
სხვა წინასწარგადახდები		-	24
მოთხოვნა რეგრესიდან		19	15
გადავადებული აკვიზიციური ხარჯები		106	153
გადავადებული საგადასახადო აქტივი		18	2
ძირითადი საშუალებები		21	23
არამატერიალური აქტივები		28	47
აქტივი გამოყენების უფლებით	8	118	101
სულ აქტივები		**15,286**	**14,476**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	10,051	10,051
საემისიო კაპიტალი	9	51	51
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		2,345	2,577
		12,447	12,679
ვალდებულებები			
ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან	10	1,308	959
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	11	221	80
საიჯარო ვალდებულებები	12	120	102
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	1,190	656
		2,839	1,797
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**15,286**	**14,476**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2023 წლის 31 მარტს:

ეკა ცენტერაძე
გენერალური დირექტორი

ლევან ელიაური
ფინანსური დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 12-38 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2022 წლის პერიოდი	2021 წლის პერიოდი
მთლიანი მოზიდული პრემია		3,730	3,055
გადამზღვევლის კუთვნილი პრემია		(552)	(372)
წმინდა მოზიდული პრემია		**3,178**	**2,683**
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილება		(17)	(351)
გადაზღვევის წილი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილებაში		154	163
წმინდა გამომუშავებული პრემია	14	**3,315**	**2,495**
ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები და დარეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯები	15	(701)	(358)
გადაზღვევის წილი სადაზღვევო ზარალებში		138	6
წმინდა ცვლილება სადაზღვევო ზარალების რეზერვებში		(332)	(13)
წმინდა ზარალები		**(895)**	**(365)**
შემოსავალი რეგრესიდან	16	206	77
აკვიზიციური ხარჯები, გადაზღვევის გამოკლებით	17	(190)	(60)
გაუფასურების რეზერვის აღდგენა		-	-
სადაზღვევო საქმიანობის შედეგი		**2,436**	**2,147**
საპროცენტო შემოსავალი	18	454	591
საპროცენტო ხარჯი		(6)	(3)
სხვა შემოსავალი		3	8
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	19	(1,535)	(1,305)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(15)	(10)
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	20	(1,585)	(568)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		**(248)**	**860**
მოგების გადასახადის ანაზღაურება/(ხარჯი)	21	16	(137)
წმინდა (ზარალი) / შემოსავალი		**(232)**	**723**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული (ზარალი) / შემოსავალი		**(232)**	**723**

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იყოს 12-38 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ათასი ლარი	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2021 წლის 1 იანვარი	**10,000**	**-**	**1,854**	**11,854**
წლის მოგება	-	-	723	723
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	*723*	*723*
კაპიტალის ზრდა	51	51	-	102
ოპერაციები აქციონერებთან	*51*	*51*	-	*102*
2021 წლის 31 დეკემბერი	**10,051**	**51**	**2,577**	**12,679**
წლის ზარალი	-	-	(232)	(232)
პერიოდის სრული ზარალი	-	-	*(232)*	*(232)*
2022 წლის 31 დეკემბერი	**10,051**	**51**	**2,345**	**12,447**

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იყოს 12-38 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2022 წელი	2021 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მიღებული სადაზღვევო პრემია		3,562	2,440
შემოსავალი რეგრესიდან		34	69
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი		624	60
გადახდილი სადაზღვევო ზარალები		(443)	(239)
გადამზღვეველებთან არსებული ვალდებულებების დაფარვა		(218)	(257)
გადახდილი აკვიზიციური ხარჯები		(304)	(68)
გადახდილი ხელფასები და სარგებელი		(615)	(639)
გადახდილი საოპერაციო გადასახადი		(97)	(609)
ადმინისტრაციული და სხვა გადახდილი ხარჯები		(290)	(334)
მიღებული პროცენტი		368	673
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		2,621	1,096
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
საბანკო ანაბრებზე თანხების განთავსება		(11,734)	(1,332)
საბანკო ანაბრების თანხების გამოტანა		10,331	1,140
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	-
ძირითადი საშუალებების შეძენა		(4)	(1)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი		-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(1,407)	(193)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:		-	
კაპიტალის ზრდა		-	102
იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებების დაფარვა	12	(65)	(60)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(65)	42
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	20	19	(15)
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ცვლილება		1,149	945
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით		1,507	577
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, 31 დეკემბერი		2,675	1,507

ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იყოს 12-38 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

სს გრინ დაზღვევა საქართველო (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა 2013 წლის 13 მაისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია ეწევა სადაზღვევო საქმიანობას და მომხმარებლებს სთავაზობს სახმელეთო ავტოსატრანსპორტო საშუალებათა, უბედური შემთხვევების, ქონების, პასუხისმგებლობის და სხვა ტიპის დაზღვევას.

2020 წლის 27 თებერვალს კომპანიამ შეიცვალა სახელი სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა და ფუნქციონირებას აგრძელებს სს გრინ დაზღვევა საქართველოს სახელით. კომპანია არის სააქციო საზოგადოება, 2015 წლის 7 დეკემბრამდე ის იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია ანა კალანდაძის ქუჩა # 4, თბილისი, საქართველო.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განთავსებულ აქციათა რაოდენობა კლასების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად: A კლასი - 4,350,000 ცალი, AA კლასი - 1,650,000 ცალი, B კლასი - 4,051,059 ცალი. ყველა კლასის აქციის ნომინალური ღირებულება 1 (ერთი) ლარია.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის A და AA კლასის აქციების მესაკუთრეები იყვნენ: სს მეტრო ავრასია ინვესთმენთ ჯორჯია - 50% და შპს ახალი საინვესტიციო შესაძლებლობები - 50%, ხოლო B კლასის აქციების მესაკუთრეები: შპს ახალი საინვესტიციო შესაძლებლობები - 49.369%, სს მეტრო ავრასია ინვესთმენთ ჯორჯია - 43.692%, სს მეტრო ატლას ჯორჯია – 4.443%, სს მეტრო ქონსტრაქშენ 2.468% და სხვა ნომინალური მფლობელები - 0.028%.

კომპანიას სადაზღვევო ლიცენზია მიენიჭა 2013 წლის 11 ოქტომბერს, ლიცენზიის სერტიფიკატის ნომერია #NL013, გამოშვებულია სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის” მიერ. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №05/4-ლ-ის მიხედვით კომპანიას მიენიჭა სიცოცხლის დაზღვევის ლიცენზია 2020 წლის 2 ნოემბერს. კომპანიის მმართველი ორგანოა საერთო კრება და სამეთვალყურეო საბჭო. ყოველდღიური აქტივობები კომპანიაში კონტროლდება გენერალური დირექტორის მიერ. 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის გენერალური დირექტორია ეკა ცენტერაძე.

კომპანიის უმაღლეს მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს აითენ ოზთურქ უნალ, თურქეთის მოქალაქე.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც წარმოდგენილია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ათას ლარამდე.

2.4 შეფასების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებსა და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც მენეჯმენტის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია მე-22 შენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარდების გამოყენება

კომპანიამ მიმდინარე წელს გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახედილი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2022 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის და შეესაბამება კომპანიის ოპერაციებს.

ამ ცვლილებების გავლენა და ბუნება განხილულია ქვემოთ.

ახალი და გადახედილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2022 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდებისათვის.

ქვემოთ მოცემულია 2022 წელს განხორციელებული ახალი სტანდარტები და შესწორებები, რომლებსაც ზეგავლენა არ მოუხდენიათ კომპანიის ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

სტანდარტი	სტანდარტის სათაური ან ინტერპრეტაცია
ფასს 3	*კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებები (ცვლილებები ფასს 3-ში)*
ბასს 16	*შემოსავლები მიზნობრივ გამოყენებამდე (ცვლილებები ბასს 16-ში)*
ბასს 37	*წამგებიანია კონტრაქტი – კონტრაქტის შესრულების ფასი (ცვლილებები ბასს 37-ში)*
ფასს 1, ფასს 9, ბასს 41, ფასს 16	*ფასს 2018-2021 ყოველწლიური გაუმჯობესება (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ბასს 41, ფასს 16)*

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები არსებულ სტანდარტებზე, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური და ჯერ არ მიუღია კომპანიას

ამ ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის, ბასსს-ის მიერ, გამოქვეყნებული იყო გარკვეული ახალი სტანდარტები, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები, მაგრამ ჯერჯერობით ისინი არ არის ეფექტური და კომპანიას ისინი ჯერ არ მიუღია.

ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი განცხადება მიიღება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში პირველივე პერიოდისათვის, რომელიც იწყება გამოცხადების ძალაში შესვლის თარიღიდან ან მას შემდეგ.

ხელმძღვანელობა არ ელის მნიშვნელოვან გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებული სტანდარტებიდან და შესწორებებიდან, ისინი წარმოდგენილია ქვემოთ:

სტანდარტი	სტანდარტის სათაური ან ინტერპრეტაცია	ძალაშია საანგარიშგებო პერიოდის დაწყებისას ან მის შემდეგ
ფასს 17	*სადაზღვევო კონტრაქტები*	*1 იანვარი 2023*
ფასს 12	*გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ტრანზაქციით წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებზე (ცვლილებები ბასს 12-ში)*	*1 იანვარი 2023*
ფასს 17	*ფასს 17-ისა და ფასს 9-ის პირველადი გამოყენება – შედარებითი ინფორმაცია (ცვლილებები ფასს 17-ში)*	*1 იანვარი 2023*

ბასს 8	*სააღრიცხვო შეფასების განმარტება (ცვლილება ბასს 1-ში)*	*1 იანვარი 2023*
ბასს 1	*სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (ცვლილება ბასს 1-სა და პრაქტიკული ანგარიში 2-ში)*	*1 იანვარი 2023*
ბასს 1	*ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებებად (ცვლილება ბასს 1-ში)*	*1 იანვარი 2024*
ბასს 16	*საიჯარო ვალდებულებები გაყიდვა უკუიჯარის პირობით (ცვლილება ფასს 16-ში)*	*1 იანვარი 2024*
ბასს 1	*გრძელვადიანი ვალდებულებები შეზღუდვებით/კოვენანტებით (ცვლილება ბასს 1-ში)*	*1 იანვარი 2024*

ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“

2017 წლის მაისში IASB-მა გამოუშვა ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“, ამომწურავი ახალი სააღრიცხვო სტანდარტი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის, რომელიც მოიცავს აღიარების და შეფასების, წარდგენისა და ინფორმაციის გახსნის საკითხებს, და ჩაანაცვლებს ფასს 4-ს „სადაზღვევო ხელშეკრულებები“. ფასს 4-ის მოთხოვნებისგან განსხვავებით, რომლებისგანაც მანამდე მოქმედი ადგილობრივი სააღრიცხვო პოლიტიკები მეტწილად გათავისუფლებულია შეფასების მიზნებისთვის, ფასს 17 წარმოადგენს კომპლექსურ მოდელს (უნივერსალურ მოდელს) სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის, რომელსაც ერთვის ცვლადი გადასახდელის მიდგომა ისეთი ხელშეკრულებების შემთხვევაში, რომლებსაც აქვს პირდაპირი მონაწილეობის მახასიათებლები და არსებითად არის ინვესტიციასთან დაკავშირებული მომსახურების ხელშეკრულებები და პრემიის განაწილების მიდგომა, რომელიც ძირითადად გამოიყენება მოკლევადიანი ხელშეკრულებებისთვის და, ჩვეულებრივ, ვრცელდება გარკვეულ არასიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებზე.

ფასს 17 ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, და სავალდებულოა შედარებადი რიცხობრივი მონაცემების წარმოდგენა. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც, თუ საწარმო ასევე გამოიყენებს ფასს 9-სა და ფასს 15-ს, ფასს 17-ის პირველად გამოყენებამდე ან გამოყენების დღეს. რეტროსპექტულად გამოყენება სავალდებულოა. თუმცა, თუ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფისთვის სრული რეტროსპექტული გამოყენება შეუძლებელია, მაშინ საწარმო ვალდებულია, აირჩიოს ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომა, ან სამართლიანი ღირებულების მეთოდი.

ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებებს შემოაქვს სააღრიცხვო მოდელი, რომელიც „დაკმაყოფილების ფულადი ნაკადების“ და ხელშეკრულების მომსახურების მარჟის საფუძველზე (CSM), კომპანიის სადაზღვევო ხელშეკრულებებს აფასებს. CSM განისაზღვრება სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფებისთვის. მზღვეველებმა უნდა აღრიცხონ მათი ბიზნეს შედეგები უფრო დეტალურ დონეზე. აღნიშნული, არსებული და მოქმედი ბიზნესის მომგებიანობასთან დაკავშირებით მეტ შესადარისობას და გამჭირვალობას უზრუნველყოფს და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს მეტ ინფორმაციას აწვდის მზღვეველის ფინანსურ მდგომარეობაზე. ანდერრაიტინგის და ფინანსური შედეგების განცალკევებით წარდგენა იძლევა დამატებით გამჭირვალობას მოგების წყაროებთან და შემოსულობების ხარისხთან დაკავშირებით. არასტაბილურობის შემცირების მიზნით, მზღვეველს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ, წარადგინოს დისკონტირების განაკვეთების და სხვა ფინანსური რისკების ცვლილებების გავლენა მის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაზღვევის ხელშეკრულება აღირიცხება ძირითადი პირდაპირი ხელშეკრულებებისგან განცალკევებით. ფასს 17 მოითხოვს ინფორმაციის დეტალურ დონეზე გამჟღავნებას, რაც მომხმარებლებს ხელშეკრულებების ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ შედეგებზე და ფულად ნაკადებზე გავლენის შეფასებაში ეხმარება.

ამჟამად კომპანია ფასს 17-ის მეთოდოლოგიის განვითარების და წინასწარი გავლენის შეფასების პროცესშია.

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

2014 წლის ივლისში გამოიცა ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ ბოლო ვერსია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, რომელიც ანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ და ფასს 9-ის ყველა წინა ვერსიას. ფასს 9

ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ბუღალტრული აღრიცხვის სამივე ასპექტს აერთიანებს: კლასიფიკაცია და შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა. ფასს 9 ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ამასთან დაშვებულია უფრო ადრე გამოყენებაც. გარდა ჰეჯირების აღრიცხვისა, მოთხოვნილია რეტროსპექტული გამოყენება, მაგრამ შედარებადი ინფორმაციის წარმოდგენა სავალდებულო არ არის. ჰეჯირების აღრიცხვის შემთხვევაში, მოთხოვნები, როგორც წესი, პერსპექტიულად გამოიყენება, გარკვეული იშვიათი გამონაკლისებით. კომპანიამ გადაწყვიტა, ფასს 9-ის გამოყენება გადაავადოს სადაზღვევო ხელშეკრულებების შესახებ ახალი სტანდარტის (ფასს 17) ძალაში შესვლის თარიღამდე, 2023 წლის 1 იანვრამდე, და ისარგებლა ფასს 9-ის გამოყენებიდან დროებითი გამონაკლისის წესით, რომელიც დაშვებულია ცვლილებებით ფასს 4-ში „ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ გამოყენება ფასს 4-ისთვის „სადაზღვევო ხელშეკრულებები“. 2016 წლის სექტემბერში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა ფასს 4-ის შესწორებები, რომელიც გამოწვეულია ფასს 9-ის და ახალი სადაზღვევო კონტრაქტების სტანდარტის ფასს 17-ის ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღებით. ფასს 9 არეგულირებს ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვას და ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან, ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. თუმცა, მზღვეველისთვის, რომელიც აკმაყოფილებს გარკვეულ კრიტერიუმებს, ფასს 9 ითვალისწინებს დროებით გამონაკლისს (განთავისუფლებას), რომელიც მზღვეველს ფასს 9-ის ნაცვლად ბასს 39 – „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“– გამოყენების უფლებას აძლევს, მაგრამ არ ავალდებულებს იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვრამდე. მზღვეველს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ შეუძლია ფასს 9-ის გამოყენებიდან დროებით განთავისუფლების მიდგომის გამოყენება, თუ:

ა) მას წინათ ფასს 9-ის არანაირი ვერსია არ გამოუყენებია, გარდა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც ეხება ისეთ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული შემოსულობის ან ზარალის წარდგენას, რომელიც საწარმოს, საკუთარი შეხედულებისამებრ, კლასიფიცირებული აქვს, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით; და

ბ) მისი საქმიანობა ძირითადად დაკავშირებულია დაზღვევასთან წლიური საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს 2016 წლის 1 აპრილს, ან მომდევნო წლიური საანგარიშგებო თარიღისთვის.

გადაფარვის მიდგომა საწარმოს უფლებას აძლევს მოახდინოს მოგებასა და ზარალს და სხვა სრულ შემოსავალს შორის ისეთი თანხის რეკლასიფიკაცია, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საკუთარი შეხედულებისამებრ კლასიფიცირებულ აქტივებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ისეთივე სიდიდის იყოს, რომელიც მიიღებოდა იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველი საკუთარი შეხედულებისამებრ კლასიფიცირებულ ფინანსურ აქტივებთან მიმართებით ბასს 39-ს გამოიყენებდა.

საწარმოს შეუძლია გამოიყენოს დროებით გათავისუფლება ფასს 9-ის გამოყენებისგან 2018 წლის 1 იანვარს, ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. საწარმოს შეუძლია დაიწყოს გადაფარვის მიდგომის გამოყენება როდესაც დაიწყებს ფასს 9-ის პირველად გამოყენებას.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2022 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.7020 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 2.8844 ლარს (2021 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 3.0976 ლარი და ერთი ევრო 3.5040 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 სადაზღვევო ხელშეკრულებები

სადაზღვევო ხელშეკრულებები წარმოადგენს ისეთ ხელშეკრულებებს, რომლებიც გაფორმების მომენტისთვის ატარებს მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს, ან ისეთ ხელშეკრულებებს, რომელიც გაფორმების მომენტისთვის შეიცავს კომერციული შინაარსის ისეთ სცენარს, რომლის მიხედვითაც დაზღვევის რისკი შეიძლება მნიშვნელოვანი მოცულობის იყოს. სადაზღვევო რისკის მნიშვნელოვანი მოცულობა დამოკიდებულია, როგორც დაზღვეული მოვლენის მოხდენის ალბათობაზე, ისე მისი შესაძლო ზემოქმედების მასშტაბზე.

მას შემდეგ, რაც ხელშეკრულებას მიაკუთვნებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კატეგორიას, იგი სადაზღვევო ხელშეკრულებად რჩება დარჩენილი ვადის განმავლობაში, მაშინაც კი, თუ ამ ხნის მანძილზე სადაზღვევო რისკი საგრძნობლად შემცირდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ყველა უფლება-მოვალეობა შესრულდება ან მათი ვადა ამოიწურება.

3.3 მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან

დაზღვევიდან და გადაზღვევიდან მისაღები მოთხოვნების აღიარება ხდება სადაზღვევო პოლისის პირობების საფუძველზე და ფასდება თვითღირებულებით. დაზღვევიდან მოთხოვნების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურება მოწმდება, როგორც ინდივიდუალური ნაშთების დონეზე, ასევე ჯამურად. როდესაც მოვლენები ან გარემოებები მიუთითებენ, რომ საბალანსო ღირებულება შესაძლოა ვერ ანაზღაურდეს, გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

მოთხოვნები გადაზღვევიდან ძირითადად გულისხმობს სადაზღვევო და გადამზღვეველი კომპანიებისგან მისაღებ ნაშთებს, რომელიც წარმოიშვა სადაზღვევო ვალდებულებების გადაცემის სანაცვლოდ. გადაზღვევის პრემიის შემოსავლად აღიარება ხდება იმავე წესით, როგორც მოხდებოდა, გადაზღვევა პირდაპირ გარიგებად რომ ითვლებოდეს, გადაზღვევის პროდუქტების კლასიფიკაციის შესაბამისად. გადამზღვევლებისთვის გადასახდელი თანხები გამოითვლება შესაბამისი გადაზღვეული პოლისებისა და გადაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით. გადაზღვეული პრემიები წარმოდგენილია მთლიანი (ბრუტო) თანხებით.

გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ხდება გადაზღვევიდან მისაღები მოთხოვნების გაუფასურების ტესტირება. გადაზღვევიდან მისაღები მოთხოვნები უფასურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანიამ შეიძლება სრულად ვერ მიიღოს გადაზღვევის ხელშეკრულებით მოთხოვნილი თანხა და ასევე მისი შეფასება სათანადოდ შეიძლება.

3.4 ვალდებულებები სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან

სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები მოიცავს გადასახდელი სადაზღვევო ზარალების რეზერვს და გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვს. გადასახდელი სადაზღვევო ზარალების რეზერვი განისაზღვრება ყველა მომხდარი, მაგრამ დაურეგულირებელი სადაზღვევო შემთხვევის საბოლოო ხარჯის შეფასებაზე დაყრდნობით. ასეთი შემთხვევები შეიძლება იყოს განცხადებული (RBNS) ან განუცხადებელი (IBNR). განცხადებასა და დარეგულირებას შორის არსებული დროის პერიოდის გამო, საბოლოო ხარჯი დაზუსტებით არ არის ცნობილი საანგარიშგებო თარიღში. მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის (IBNR) დათვლა ხდება წარსული სტატისტიკიდან გამომდინარე.

გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი (UPR) წარმოადგენს მოზიდული პრემიის იმ ნაწილს, რომელიც მოსალოდნელია გამომუშავდეს მომდევნო საანგარიშგებო წლის განმავლობაში. UPR აღიარდება კონტრაქტის გაფორმებისას, ამ კონტრაქტის ვადის განმავლობაში მისაღები პრემიის ოდენობით.

სადაზღვევო ზარალების რეზერვი მოიცავს ანგარიშგების თარიღისთვის ყველა მომხდარ, მაგრამ დაურეგულირებელ სადაზღვევო შემთხვევას. მათ შორის შეიძლება იყოს განცხადებული ან განუცხადებელი. ასევე სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირებასთან დაკავშირებულ ხარჯებსა და მოსალოდნელ ნარჩენ ან სხვა სალიკვიდაციო ღიებულებას. ვალდებულების გაანგარიშება ხდება საანგარიშგებო თარიღით, მოსალოდნელი ზარალების პროგნოზირების სტანდარტული მეთოდებისა და არსებული დაშვებების გამოყენებით. სადაზღვევო ვალდებულება არ დისკონტირდება ფულის დროით ღირებულებასთან მიმართებაში. ვალდებულების ჩამოწერა ხდება მისი დაფარვის, მოთხოვნის ვადის გასვლის, შეწყვეტის ან გაუქმებისას.

გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის აღიარება ხდება ხელშეკრულების ძალაში შესვლისას და პრემიის დარიცხვისას და აღირიცხება, როგორც შემოსავალი პრემიიდან ხელშეკრულების პერიოდში,

ხელშეკრულების სადაზღვევო სქემის შესაბამისად. ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის აქტიურ პოლისებზე გამოუმუშავებელი პრემიის საბალანსო ღირებულება გამოითვლება სადაზღვევო პერიოდსა და თითოეული სადაზღვევო პოლისის ვადის ამოწურვამდე დარჩენილი დროის საფუძველზე. კომპანია ამოუწურავ რისკს განიხილავს ცალკეული ბიზნეს მიმართულებების წარსული საქმიანობის საფუძველზე, რათა განსაზღვროს საერთო ცვლილება მოსალოდნელ მოთხოვნებში. ცვლილება, გამოუმუშავებელი პრემიისა და სადაზღვევო ზარალების რეზერვებში (განცხადებული და განუცხადებელი), წლების განვლობაში, აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.5 ვალდებულების ადეკვატურობის ტესტი

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, ტარდება ვალდებულების ადეკვატურობის შემოწმება, იმისათვის, რომ დადგინდეს, აღემატება თუ არა მოსალოდნელი ზარალები გამოუმუშავებელ პრემიას, გადავადებული შესყიდვის ხარჯის გამოკლებით.

იმ შემთხვევაში თუ გამოვლინდა დანაკლისი, შესაბამისი გადავადებული შესყიდვის ხარჯი ჩამოიწერება და საჭიროების შემთხვევაში, იქმნება დამატებითი ანარიცხი. ამ განსხვავების აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში

3.6 გადავადებული აკვიზიციური ხარჯები

ფინანსური პერიოდის განმავლობაში გაწეული პირდაპირი და არაპირდაპირი დანახარჯები, რომელიც დაკავშირებულია სადაზღვევო კონტრაქტების მოზიდვასთან ან განახლებასთან, გადავადდება მომავალ პერიოდზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ეს დანახარჯები მომავალში ანაზღაურდება მიღებული სადაზღვევო პრემიებიდან. ყველა სხვა შესყიდვის ხარჯი აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც იქნა გაწეული.

გადავადებული აკვიზიციური ხარჯები წარმოადგენს პერსონალზე ან აგენტებზე გაცემულ გაყიდვების საკომისიოებს, რომელიც მათ გამომუშავებას სადაზღვევო კონტრაქტების გაფორმებით და განახლებით.

გადავადებული აკვიზიციური ხარჯები ამორტიზდება იმ პერიოდის განმავლობაში, რა პერიოდშიც ხდება დაკავშირებული შემოსავლის გამომუშავება.

3.7 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულისგან, მიმდინარე საბანკო ანგარიშებისა და საბანკო ანაბრებისგან, რომელთაც აქვთ განთავსებიდან სამი თვის ვადა და არ აქვთ სახელშეკრულებო ვალდებულებები.

3.8 ფინანსური აქტივები

ბასს 39-ის სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მოთხოვნებად, დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებულ ფასიან ქაღალდებად ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად. ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები მხოლოდ იმ ინვესტიციების შემთხვევაში, რომელიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში. კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი პირველადი აღიარებისას.

3.9 რეგრესი და სხვა მისაღები მოთხოვნები

მოთხოვნები რეგრესიდან აღიარდება მაშინ, როდესაც ზარალი არის ანაზღაურებული და კომპანიას აქვს უფლება მიიღოს რეგრესი. რეგრესი და სხვა მისაღები მოთხოვნები აღიარებულია მათი პირველადი ღირებულებით. რეგრესის მოთხოვნების დისკონტირება არ ხდება ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებაში.

რეგრესის მოთხოვნების საბალანსო ღირებულება ფასდება გაუფასურებაზე, როგორც ინდივიდუალური ნაშთების დონეზე, ასევე ჯამურად, იმ ნაშთებზე, რომლებიც არ მოხვდნენ ინდივიდუალურ შეფასებაში. როდესაც მოვლენები ან ვითარებები მიუთითებენ, რომ საბალანსო ღირებულება შესაძლოა ვერ ანაზღაურდეს, გაუფასურების რეზერვი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში

3.10 ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. შემოსავალი და ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, რომლის შესახებაც საგანგებოდ მიეთითება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

3.11 ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი

კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, გაუფასურდა თუ არა ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი.

თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების გაუფასურების შედეგად წარმოიქმნა ზარალი, ზარალის ოდენობა განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას შორის (გარდა სამომავლო დანაკარგებისა კრედიტზე, რომლებსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია), რომლებიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ანუ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომლის გაანგარიშებაც მოხდა პირველადი აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ოდენობის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.
დაგირავებული ფინანსური აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულების გამოთვლა ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც გამომდინარეობს დაგირავებული ქონების გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევიდან, რომელსაც აკლდება უზრუნველყოფის საგნის მიღებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები, იმისდა მიუხედავად, მოსალოდნელია თუ არა უზრუნველყოფის საგნის გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევა.

კომპანია ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად, ხოლო ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად ან ერთობლიობაში აფასებს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი. თუ დადგინდა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის (განურჩევლად იმისა, მნიშვნელოვანია ის თუ არა) გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, ეს აქტივი შევა მსგავსი საკრედიტო რისკების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში და ფინანსური აქტივების ეს ჯგუფი გაუფასურებასთან მიმართებაში ფასდება ერთობლივად. აქტივები, რომელთა გაუფასურება ფასდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ შედის გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების ერთობლივად შეფასების პროცესში. თუ მომდევნო პერიოდში, გაუფასურებით გამოწვეული ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდება მანამდე აღიარებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღდგენა. გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ნებისმიერი შემდგომი აღდგენის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ისე, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს მის ამორტიზებულ ღირებულებას აღდგენის თარიღისთვის. უიმედო აქტივი ჩამოიწერება გაუფასურების შესაბამისი რეზერვიდან ყველა საჭირო პროცედურის ჩატარებისა და ზარალის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

3.12 ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და

- კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი ან კონტროლი აქტივზე, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება მონაწილეობის შენარჩუნების პირობით. მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ფინანსური აქტივები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, გადაიხურება ან ამოიწურება.

3.13 იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, კომპანიამ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ

ამ განმარტების გამოსაყენებლად კომპანიამ უნდა შეაფასოს:

- კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.
- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება. აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას, საწარმომ ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ საზღვრებში. კომპანია განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

მოიჯარემ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ აღნიშნული განაკვეთი არ არის ხელმისაწვდომი მოიჯარემ უნდა გამოიყენოს ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: ზრდის ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით; ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვით; და თავიდან აფასებს საბალანსო ღირებულებას საიჯარო გადახდების ცვლილებების შემთხვევაში.

მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულების თავიდან შეფასებისას კორექტირდება აქტივისგამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლება ნულის ტოლია, მოიჯარემ მოგება/ზარალში უნდა აღიაროს ნებისმიერი მოდიფიკაცია.

კომპანიამ გადაწყვიტა გამოიყენოს განთავისუფლების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიაროს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივის გამოყენების უფლება შესაძლოა აღირიცხოს ძირითად საშუალებებში ან განცალკევებულად, ხოლო საიჯარო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ან განცალკევებულად.

3.14 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი გამოითვლება მოქმედი ან ანგარიშგების თარიღის დღეს ძალაში შესული საგადასახადო განაკვეთით. დასაბეგრი მოგება სააღრიცხვო მოგებისგან განსხვავდება იმ მიზეზის გამო, რომ ზოგი შემოსავალი და ხარჯი არ იბეგრება ან იქვითება, ან მათი დაბეგვრის ან დაქვითვის დროის მონაკვეთი განსხვავებულია მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობისა და სააღრიცხვო მიდგომების თვალსაზრისით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ვალდებულებათა მეთოდით, გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და შესაბამის საგადასახადო ბაზას შორის ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით.

გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება იმ საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც მოსალოდნელია აქტივის რეალიზების ან ვალდებულების დაფარვის პერიოდისათვის იმ საგადასახადო განაკვეთის (და საგადასახადო კანონმდებლობის) საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება მხოლოდ იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად თვლის კომპანია (უფრო სავარაუდოა ვიდრე არა), რომ იმავე საგადასახადო იურისდიქციის ფარგლებში მას ექნება საკმარისი დასაბეგრი მოგება აქტივის უტილიზაციისთვის.

პერიოდის განმავლობაში მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი წარმოიშვა ტრანზაქციიდან ან გარემოებებიდან, რომლებიც აღირიცხა სხვა სრული შემოსავლის ან პირდაპირ კაპიტალის მუხლში. მოგების გადასახადის განაკვეთი შეადგენს 15%-ს.

3.15 კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

სხვადასხვა კლასის აქციები კლასიფიცირებულია, როგორც სააქციო კაპიტალი. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც საემისიო კაპიტალი.

დივიდენდი

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები გაცხადდება მაშინ, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.
აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

ყველა ტრანზაქცია აქციონერებთან აღრიცხულია კაპიტალში დამოუკიდებლად.

3.16 შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

მოზიდული პრემია და გამომუშავებული პრემიის რეზერვი

ბრუტო სადაზღვევო მოზიდული პრემია შედგება საანგარიშგებო პერიოდში გაფორმებული კონტრაქტების მოქმედების მთლიანი პერიოდის განმავლობაში მისაღები პრემიისგან. მათი აღიარება ხდება პოლისის ამოქმედების თარიღში. ეს პრემია მოიცავს წინა საანგარიშგებო პერიოდებში მოზიდული პრემიის კორექტირებას, რომელიც განხორციელდა მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში.

გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი არის წლის განმავლობაში მოზიდული პრემიის ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია საანგარიშგებო თარიღის შემდეგ არსებულ რისკის პერიოდებთან. ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გადაზღვევის წილი მთლიან მოზიდულ პრემიაში და გამომუშავებული პრემიის რეზერვის, გადამზღვევლის წილი

ბრუტო გადაზღვევის პრემია შედგება საანგარიშგებო პერიოდში გაფორმებული კონტრაქტების მოქმედების მთლიანი პერიოდის განმავლობაში გადაზღვევის წილისგან მთლიან მოზიდულ პრემიაში. მისი აღიარება ხდება გადაზღვევის ამოქმედების თარიღში. გადაზღვევის წილი მთლია მოზიდულ პრემიაში მოიცავს გადაზღვევის წილის მთლიან მოზიდულ პრემიაში კორექტირებას, რომელიც განხორციელდა საანგარიშგებო პერიოდში.

გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის, გადამზღვევლის წილი არის წლის განმავლობაში აღიარებული გადაზვევის წილი მთლიან მოზიდულ პრემიაში ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია საანგარიშგებო თარიღის შემდეგ არსებულ რისკის პერიოდებთან. ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში-გადამზღვევლის წილში, აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სადაზღვევო ზარალები

სადაზღვევო ზარალები მოიცავს ყველა იმ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარ ზარალს, რომელიც მოხდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, ისინი იყო განცხადებული თუ არა. ამ ზარალების გამოთვლისას გაითვალისწინება მათი დარეგულირების პირდაპირი ხარჯები, ანაზღაურებები (რეგრესი, გადარჩენილი ქონება) და წინა პერიოდების ზარალების კორექტირება.

3.17 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ცვეთა არ ერიცხება და ხდება მათი ყოველწლიური ტესტირება გაუფასურებაზე. აქტივები, რომლებიც ცვეთას ექვემდებარებიან, გაუფასურებაზე ტესტს გადიან მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი მომენტალურად აისახება, როგორც ხარჯი იმ შემთხვევაში, როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.
ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით და გაუფასურების ზარალი პირდაპირ ამცირებს გაუფასურების რეზერვს.

როცა გაუფასურების ზარალის ანულირება ხდება, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდის გაუფასურების არარსებობის შემთხვევაში. გაუფასურების ანულირება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუ ეს აქტივი არ აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის ანულირება განისაზღვრება როგორც გადაფასების ზრდა.

3.18 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები რომლებსაც აქვს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა აღრიცხულია თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფსურების ზარალის თანხებით.

ცვეთა ერიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, აქტივების მთელი სასარგბლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივები იცვითება 5 წლის პერიოდზე.

3.19 ფული საბანკო ანგარიშებზე და საბანკო ანაბრები

ფული საბანკო ანგარიშებზე მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშებზე.

საბანკო ანაბრები მოიცავს თანხებს განთავსებულს საბანკო ანგარიშებზე, საიდანააც კომპანია იღებს დამატებით სარგებელს.

4 ფული საბანკო ანგარიშებზე

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	37	444
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	2,638	1,063
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	2,675	1,507

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე კლასიფიცირებულია როგორც არასარისკო.

5 საბანკო ანაბრები

ბანკებში განთავსებული თანხები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	საბანკო ანაბარი	მისაღები პროცენტი	სულ
ბანკში განთავსებული თანხები აშშ დოლარში	9,841	66	9,907
ბანკში განთავსებული თანხები ლარში	1,337	25	1,362
სულ ბანკებში განთავსებული თანხები	11,178	91	11,269

ბანკებში განთავსებული თანხები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	საბანკო ანაბარი	მისაღები პროცენტი	სულ
ბანკში განთავსებული თანხები აშშ დოლარში	11,229	91	11,320
ბანკში განთავსებული თანხები ლარში	36	3	39
სულ ბანკებში განთავსებული თანხები	11,265	94	11,359

საბანკო ანაბრები წარმოდგენილია საქართველოს ბანკებში მოკლევადიანი (სამი თვიდან ერთ წლამდე) და საშუალოვადიანი განთავსებებით, რომლებზეც ირიცხება 2.2%-დან 13%-მდე წლიური პროცენტი (2021 წ.: 3%-დან 12%-მდე). დარიცხული პროცენტის ოდენობაზე ინფორმაცია მოწოდებულია მე-18 განმარტებით შენიშვნაში. ბანკებში განთავსებული თანხები კლასიფიცირებულია, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას დეპოზიტები აქვს, არის სანდო.

6 მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან

მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სადაზღვევო ოპერაციებიდან წარმოქმნილი მოთხოვნა დოლარში	270	498
სადაზღვევო ოპერაციებიდან წარმოქმნილი მოთხოვნა ლარში	247	309
სადაზღვევო ოპერაციებიდან წარმოქმნილი მოთხოვნა ევროში	4	8
გადაზღვევის მოთხოვნები	58	14
გაუფასურების რეზერვი	(12)	(23)
სულ მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	567	806

გაუფასურების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილაი ქვემოთ:

ათასი ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ნაშთი წლის დასაწყისში	23	2
დარიცხვა პერიოდის განმავლობაში	(11)	21
ნაშთი წლის ბოლოს	12	23

7 გადაზღვევის აქტივები

გადაზღვევის აქტივები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
გამოუმუშავებული პრემიების წილი გადაზღვევაში	332	178
	332	178

მოძრაობა გამოუმუშავებული პრემიების წილი გადაზღვევაში

ათასი ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ნაშთი 1 იანვარს	178	14
წლის განმავლობაში გადამზღვევლებზე გადაცემული მოზიდული პრემიები	552	372
წლის განმავლობაში გაწეული გადამზღვევლებზე გადაცემული პრემიები	(398)	(208)
ნაშთი 31 დეკემბერს	332	178

8 აქტივი გამოყენების უფლებით

აქტივი გამოყენების უფლებით 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	შენობა
1 იანვარი 2021	190
შემოსვლა	-
გასვლა	-
იჯარის მოდიფიკაცია	115
31 დეკემბერი 2021	305
შემოსვლა	-
გასვლა	-
იჯარის მოდიფიკაცია	77
31 დეკემბერი 2022	382
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2021	(146)
ცვეთის ხარჯი	(58)
ცვეთის გასვლა	-
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2021	(204)
ცვეთის ხარჯი	(60)
ცვეთის გასვლა	-
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2022	(264)
საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2021	101
31 დეკემბერი 2022	118

9 სააქციო კაპიტალი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კაპიტალი შედგება განთავსებული 4,350,000 ცალი A კლასის აქციისაგან (სულ ნებადართული ოდენობა 4,350,000 ცალი), 1,650,000 ცალი AA კლასის აქციისგან (სულ ნებადართული ოდენობა 1,650,000 ცალი) და 4,051,059 ცალი B კლასის აქციისგან (სულ ნებადართული ოდენობა 9,000,000 ცალი). თითოეულის ნომინალური ღირებულება არის 1 (ერთი) ლარი (თანხა არ არის მოცემული ათასებში).

A კლასის 1 ცალი აქცია უზრუნველყოფს 1 ხმის უფლებას. 1 ცალი AA კლასის აქცია უზრუნველყოფს 15 ხმის უფლებას. B კლასის 1 აქცია უზრუნველყოფს 1 ხმის უფლებას, თუმცა, B კლასის აქციათა მფლობელი არ მონაწილეობს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევის, მისი უკან გამოწვევის/განთავისუფლების პროცესში.

2020 წლის 27 თებერვლის აქციონერთა რიგგარეშე კრების ოქმის თანახმად მოხდა 2,359 ლარის გაუნაწილებელი მოგების კონვერტაცია 2,359,000 ცალ აქციაში, რომლის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 ლარს (არ არის მოცემული ათასებში). აღნიშნული ახალი აქციები გადანაწილდა შემდეგ მფლობელებზე: სს მეტრო ავრასია ინვესთმენთ ჯორჯია - AA კლასის 825,000 ცალი აქცია, B კლასის 354,500 ცალი აქცია; შპს ახალი საინვესტიციო შესაძლებლობები - AA კლასის 825,000 ცალი აქცია, B კლასის 354,500 ცალი აქცია.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის A და AA კლასის აქციების მესაკუთრეები იყვნენ: სს მეტრო ავრასია ინვესთმენთ ჯორჯია- 2,175,000 ცალი A კლასის და 825,000 ცალი AA კლასის აქციები (50%) და შპს ახალი საინვესტიციო შესაძლებლობები -2,175,000 ცალი A კლასის და 825,000 ცალი AA კლასის აქციები (50%), ხოლო B კლასის აქციების მესაკუთრეები: შპს ახალი საინვესტიციო შესაძლებლობები - 2,000,000 ცალი აქცია (49.369%), სს მეტრო ავრასია ინვესთმენთ ჯორჯია - 1,770,000 ცალი აქცია (43.692%), სს მეტრო ატლას ჯორჯია – 180,000 ცალი აქცია (4.443%), სს მეტრო ქონსტრაქშენ - 100,000 ცალი აქცია (2.468%) და სხვა ნომინალური მფლობელები (0.028%).

კომპანიამ 2021 წელს გამოუშვა გამოუშვა 5,000,000 აქცია, აღნიშნული აქციებიდან გაიყიდა 51,059 ცალი აქცია, რომელთა ნომინალური ღირებულება იყო 1 ლარი და თითოეულის სარეალიზაციო ღირებულებამ შეადგინა 2 ლარი, შესაბამისად თანხა ნომინალურ ღირებულებასა და აქციის შეძენის ღირებულებას შორის აისახა საემისიო კაპიტალში.

2022 წლის განმავლობაში კომპანიას აქციები არ გამოუშვია და არც აქციების გაყიდვა არ მომხდარა.

გაუნაწილებელი მოგება წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში დარჩენილი წმინდა მოგების ნაწილს, რომელიც გაუნაწილებელია. 2022 და 2021 წლების განმავლობაში კომპანიას დივიდენდები არ გამოუცხადებია.

10 ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან

ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი	მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი	სულ ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან
2020 წლის 31 დეკემბერი	545	49	1	595
ცვლილება	351	13	-	364
2021 წლის 31 დეკემბერი	896	62	1	959
ცვლილება	17	327	5	349
2022 წლის 31 დეკემბერი	913	389	6	1,308

11 სხვა სადაზღვევო ვალდებულებები

სხვა სადაზღვევო ვალდებულებები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ვალდებულებები გადამზღვეველებთან	159	40
გადავადებული სადაზღვევო საკომისიო შემოსავალი	62	40
	221	80

12 იჯარა

იჯარები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე	67	57
გრეძელვადიანი	53	45
	120	102

კომპანიას იჯარით აქვს აღებული საოფისე ფართი თბილისში. იჯარა არის ან არაგაუქმებადი, ან მისი გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ შეწყვეტისათვის მნიშვნელოვანი საფასურის გადახდის შემთხვევაში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში აღწერილია კომპანიის საიჯარო საქმიანობის ხასიათი აქტივების გამოყენების უფლების ტიპის მიხედვით, რომელიც აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

აქტივის გამოყენების უფლება	იჯარის რაოდენობა	დარჩენილი ვადის დიაპაზონი
შენობა	1	24 თვე

საიჯარო ვალდებულებები უზრუნველყოფილია შესაბამისი აქტივებით. მომავალი მინიმალური საიჯარო გადახდები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრისთვის შემდეგნაირია:

ათასი ლარი	მინიმალური საიჯარო გადახდები	
	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ერთ წლამდე		
საიჯარო გადახდები	74	62
ფინანსური ხარჯები	7	5
	81	67
ორიდან ხუთ წლამდე		
საიჯარო გადახდები	55	46
ფინანსური ხარჯები	2	1
	57	47
წმინდა მიმდინარე ღირებულება	138	114

ცვლილებები კომპანიის საიჯარო ვალდებულებებში შესაძლოა წარმოდეგნილი იყოს შემდეგნაირად:

ათასი ლარი	იჯარა
1 იანვარი 2021	44
იჯარი მოდიფიკაცია	115
შემოსვლა	-
პროცენტის გადახდა	(3)
იჯარის ძირის გადახდა	(57)
პროცენტის დარიცხა	3
31 დეკემბერი 2021	102
იჯარის მოდიფიკაცია	77
შემოსვლა	-
პროცენტის გადახდა	(6)
იჯარის ძირის გადახდა	(59)
პროცნეტის დარიცხვა	6
31 დეკემბერი 2022	120

13 სავაჭრო და ხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ვალდებულებები პრინციპალების წინაშე	1,030	425
გადასახდელი საკომისიოები	77	179
სხვა ვალდებულებები	83	52
	1,190	656

14 წმინდა გამომუშავებული პრემია

წმინდა გამომუშავებული პრემია 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ათასი ლარი 2022	მთლიანი მოზიდული პრემია	გადამზღვევლის კუთვნილი პრემია	წმინდა მოზიდული პრემია	გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილება	გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილება	წმინდა გამომუშავებული პრემია
ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა	2,334	-	2,334	(91)	2	2,245
სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა	572	(95)	477	194	63	734
სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული და სხვა ვალდებულებების შესრულების გარანტიები	207	-	207	(36)	-	171
სამშენებლო რისკების დაზღვევა	160	(152)	8	(125)	119	2
სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	73	(9)	64	(5)	8	67
ტვირთების დაზღვევა	52	(47)	5	(3)	3	5
ქონების დაზღვევა	33	(33)	-	76	(50)	26
მანქანა-დანადგარების დაზღვევა	20	(15)	5	(1)	3	7
პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა	13	(12)	1	(4)	3	-
სახმელეთო გადამზიდველის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	7	(7)	-	(2)	2	-
სამოგზაურო დაზღვევა	-	-	-	-	-	-
სხვა სახის პასუხისმგებლობის დაზღვევა	259	(182)	77	(20)	1	58
	3,730	(552)	3,178	(17)	154	3,315

წმინდა გამომუშავებული პრემია 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ათასი ლარი 2021	მთლიანი მოზიდული პრემია	გადამზღვევლის კუთვნილი პრემია	წმინდა მოზიდული პრემია	გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილება	გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილება	წმინდა გამომუშავებული პრემია
ავტომოტორანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა	1,255	-	1,255	(20)	-	1,235
სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა	1,169	-	1,169	(116)	-	1,053
სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული და სხვა ვალდებულებების შესრულების გარანტიები	103	-	103	-	-	103
სამშენებლო რისკების დაზღვევა	8	(7)	1	1	-	2
სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	59	-	59	(26)	-	33
ტვირთების დაზღვევა						
ქონების დაზღვევა	170	(141)	29	(84)	69	14
მანქანა-დანადგარების დაზღვევა	26	(15)	11	(2)	6	15
პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა	3	(3)	-	-	-	-
სახმელეთო გადამზიდველის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	-	-	-	8	-	8
სამოგზაურო დაზღვევა	-	-	-	-	-	-
სხვა სახის პასუხისმგებლობის დაზღვევა	262	(206)	56	(112)	88	32
	3,055	(372)	2,683	(351)	163	2,495

15 ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები და დარეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯები

ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები და დარეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ათასი ლარი	2022 წლის პერიოდი	2021 წლის პერიოდი
ავტომოტოსატრანსპორტო მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ზარალი	243	118
სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის ზარალი (ავტომობილი)	174	120
ტვირთების დაზღვევა	151	2
სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ზარალი	75	35
სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული და სხვა ვალდებულებების შესრულების დაზღვევის ზარალი	24	65
მანქანა-დანადგარების დაზღვევის ზარალი	19	14
სხვა ხარჯი	15	4
სულ ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები	701	358

16 შემოსავალი რეგრესიდან

შემოსავალი რეგრესიდან 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ათასი ლარი	2022 წლის პერიოდი	2021 წლის პერიოდი
ტვირთების დაზღვევა	147	-
სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული გარანტია	24	65
სახმელეთო ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა	24	10
მოტოციკლების დაზღვევა	11	2
სულ რეგრესიდან მიღებული შემოსავალი	206	77

17 აკვიზიციური ხარჯები, გადაზღვევის შემდგომ

აკვიზიციური ხარჯები, გადაზღვევის გამოკლებით 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ათასი ლარი	2022 წლის პერიოდი	2021 წლის პერიოდი
აკვიზიციური ხარჯები	286	109
გადაზღვევის საკომისიო	(96)	(49)
სულ აკვიზიციური ხარჯები, გადაზღვევის გამოკლებით	190	60

18 საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ათასი ლარი	2022 წლის პერიოდი	2021 წლის პერიოდი
საპროცენტო შემოსავალი (ლარი)	193	306
საპროცენტო შემოსავალი (აშშ დოლარი)	261	285
სულ საპროცენტო შემოსავალი	454	591

19 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ათასი ლარი	2022 წლის პერიოდი	2021 წლის პერიოდი
ხელფასი და სხვა სარგებელი	818	825
საწევრო შენატანები	217	225
რეკლამის ხარჯი	134	4
ცვეთა და ამორტიზაცია	86	85
საზედამხედველო საფასური	37	27
კომუნალური ხარჯი	25	19
საკონსულტაციო ხარჯი	24	26
აუდიტის ხარჯი	23	27
კომუნიკაციის ხარჯი	7	5
ბანკის ხარჯი	3	7
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	161	55
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,535	1,305

20 საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)

საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი) 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ათასი ლარი	2022 წლის პერიოდი	2021 წლის პერიოდი
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება	1,100	721
ბანკებში განთავსებული თანხები	911	646
ფული და ფულის ეკვივალენტები	80	19
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	47	56
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	34	-
სხვა სადაზღვეო ვალდებულებები	28	-
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	(2,685)	(1,289)
ბანკებში განთავსებული თანხები	(2,485)	(1,148)
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	(109)	(100)
ფული და ფულის ეკვივალენტები	(61)	(34)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(20)	(7)
სხვა სადაზღვეო ვალდებულებები	(10)	-
საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი	(1,585)	(568)

21 მოგების გადასახადის ანაზღაურება/(ხარჯი)

მოგების გადასახადის ანაზღაურება/(ხარჯი) 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2022 წლის პერიოდი	2021 წლის პერიოდი
მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი	-	(138)
გადავადებული მოგების გადასახადის ხარჯი	16	1
	16	(137)

	2022 წლის პერიოდი	2021 წლის პერიოდი
მოგება დაბეგვრამდე	(248)	859
თეორიული მოგების გადასახადი (15%)	37	(129)
დროებითი სხვაობების ეფექტი	(16)	(1)
მუდმივი სხვაობების ეფექტი	(5)	(7)
მოგების გადასახადის ხარჯი	16	(137)

22 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულება

დაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულების საერთო მოცულობა კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებაა. არსებობს უზუსტობის რამდენიმე მიზეზი, რისი გათვალისწინებაც აუცილებელია კომპანიის მიერ ამ ზარალის ასანაზღაურებლად გადახდილი ვალდებულების შეფასებისას.

შეფასებები უნდა გაკეთდეს როგორც ანგარიშგების თარიღისთვის გაცხადებული ზარალის მოსალოდნელი ოდენობის, ისე ანგარიშგების თარიღისთვის მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის მოსალოდნელი საერთო მოცულობის შესახებ. ზარალის საერთო მოცულობის ზუსტად დადგენას შეიძლება გარკვეული დრო დასჭირდეს. ზოგად დაზღვევასთან დაკავშირებული ზარალის რეზერვის დისკონტირება არ ხდება ფულის დროითი ღირებულების გასათვალისწინებლად.

მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის საერთო ხარჯი გამოითვლება წარსულში დაგროვილი ზარალის დინამიკის გამოყენებით, სამომავლო ზარალის დინამიკისა და, შესაბამისად, ზარალის მთლიანი მოცულობის პროგნოზირებისთვის. კომპანიის მოცდის პერიოდი არ აღემატება ერთ თვეს, შესაბამისად, საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან ერთ თვის შემდგომ განცხადებული ზარალების მიხედვითაც შესაძლებელია საანაგრიშგებო წლის ბოლოს არსებული IBNR რეზერვის სისწორის განსაზღვრა.

სადაზღვევო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი

გაუფასურების შესაფასებლად კომპანია რეგულარულად ამოწმებს მოთხოვნებს დაზღვევიდან. სააღრიცხვო მიზნებისთვის კომპანია ფინანსური აქტივების გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღიარებისთვის იყენებს განცდილი ზარალის მოდელს.

რაც იმას ნიშნავს, რომ ზარალის აღიარება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კონკრეტული ზარალის დადგომის შემთხვევის ობიექტური მტკიცებულება. გამომწვევ მიზეზებს შორისაა კლიენტის ფინანსური სირთულეები და/ან ხელშეკრულების პირობების, მაგალითად გადახდის პირობის დარღვევა. რეზერვის მოცულობა მცირდება დავალიანების იმ თანხით, რომლის ამოღებასაც ჯგუფი საფუძვლიანად ვარაუდობს. ხელმძღვანელობის განსჯით, წარსულ ტენდენციებზე დაყრდნობით შეიძლება ზარალის პროგნოზირება და ამ მეთოდის გამოყენება შეიძლება ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის ამოღებადი დავალიანების მოცულობის შესაფასებლად.

23 ფინანსური რისკების მართვა

კომპანიის რისკის მართვის ფუნქციები იწარმოება ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას საოპერაციო და იურიდიული რისკები.
ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ან მყიდველთან დადებული ხელშეკრულების ერთი მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და გამოიწვევს ფინანსური ზარალის დადგომას მეორე მხარისთვის.

ათასი ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ბანკში განთავსებული თანხები	11,269	11,359
ფული საბანკო ანგარიშებზე	2,675	1,507
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	567	806
მოთხოვნა რეგრესიდან	19	15
სულ საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა	14,530	13,687

საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან.

საბაზრო რისკი

კომპანია არ არის დაცული საბაზრო რისკისაგან ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა ფასთან დაკავშირებული რისკისაგან, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

სავალუტო რისკი

კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი. ვალუტის გაცვლითი კურსის ზემოქმედება წარმოქმნილია კომპანიის სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან, საბანკო ანაბრებიდან და საიჯარო ვალდებულებებიდან, რომლებიც ძირითადად არის დოლარში. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც იწვევს კომპანიის სავალუტო რისკს განხილულია ქვემოთ. ნაჩვენები თანხები, არის ის თანხები რომლებიც წარედგინება ხელმძღვანელობას და გადაყვანილია ლარში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით:

ათასი ლარი 2022	დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები		
ბანკებში განთავსებული თანხები	9,907	-
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	319	4
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	96	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	37	-
	10,359	4

ათასი ლარი

2021	დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები		
ბანკებში განთავსებული თანხები	11,320	-
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	498	8
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	205	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	444	-
	12,467	8

ცხრილი ასახავს დოლარის მიმართ ლარის 15%-იანი კლება/მატების გავლენას კომპანიაზე. აღნიშნული 15% არის ხელმძღვანელობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ მონეტარულ მუხლებს და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 15%-იანი განაკვეთით.

ლარი რომ გამყარებულიყო დოლართან და ევროსთან მიმართებაში 15%-ით, მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ათასი ლარი

	დოლარი 2022	ევრო 2022	დოლარი 2021	ევრო 2021
მოგება-ზარალი	1,554	1	1,870	1

საპროცენტო რისკი

კომპანიას არ გააჩნია საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები. კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივატული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფულად ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

2022	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
ბანკებში განთავსებული თანხები	11,269	-	11,269
ფული და ფულის ეკვივალენტი	2,675	-	2,675
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	567	-	567
მოთხოვნა რეგრესიდან	19	-	19
	14,530	-	14,530
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,190	-	1,190
ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან	396	-	396
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	221	-	221
საიჯარო ვალდებულებები	67	53	120
	1,874	53	1,927

2021	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
ბანკებში განთავსებული თანხები	11,359	-	11,359
ფული და ფულის ეკვივალენტი	1,507	-	1,507
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	806	-	806
მოთხოვნა რეგრესიდან	15	-	15
	13,687	-	13,687
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	656	-	656
ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან	63	-	63
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	80	-	80
საიჯარო ვალდებულებები	57	45	102
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-
	856	45	901

კომპანია ითვალისწინებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებისგან ლიკვიდურობის რისკის, კერძოდ ფულადი და დებიტორული დავალიანებების, შესაფასებლად და სამართავად. კომპანიის ფულადი რესურსები და საოპერაციო აქტივები აღემატება მიმდინარე ფულადი გასავლის მოთხოვნებს.

24 სამართლიანი ღირებულება

კომპანია ახდენს აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზს, რომლებიც შემდგომ შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით და ჯგუფდება 1 დონიდან 3 დონემდე:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულეა განსაზღვრულია კოტირებული საბაზრო ფასით, რომელიც კოტირდება აქტიურ ბაზარზე;
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული ფასებით, რომელიც მოიცავს პირველ დონეს და მსგავსია არსებული აქტივის ან ვალდებულების; და
- დონე 3 - სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასებისგან, რომელიც მოიცავს ისეთ ატრივებს და ვალდებულებებს, რომელიც ბაზარზე არ კოტირდებიან (არასაბაზრო მონაცემები).

თუ ატივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასება, მის მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

24.1 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

აქტივები და ვალდებულებები, რომელიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, თუმცა მათი სამართლიანი ღირებულება მოცემულია განმარტებით შენიშვნებში:

ათასი ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი				2021 წლის 31 დეკემბერი			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
ბანკში განთავსებული თანხები	-	11,269	-	11,269	-	11,359	-	11,359
ფული და ფულის ეკვივალენტები	-	2,675	-	2,675	-	1,507	-	1,507
	-	13,944	-	13,944	-	12,866	-	12,866

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული.

25 კაპიტალის მართვა

კომპანიას განსაზღვრული აქვს კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პრინციპები და იმ რისკების მართვის მეთოდები, რომლებიც მისი კაპიტალის მდგომარეობაზე მოქმედებს:

- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით პოლისის მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- კაპიტალის ეფექტურად გამოყოფა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს აქციონერთა მოთხოვნებს;
- ფინანსური მოქნილობის უზრუნველყოფა ლიკვიდურობის მაღალი დონის შენარჩუნებით;
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და პოლისების მფლობელების, მარეგულირებელი ორგანოებისა და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

კომპანიის საქმიანობა ასევე ექვემდებარება ადგილობრივ ნორმატიულ მოთხოვნებს იმ იურისდიქციის ფარგლებში, რომელშიც საქმიანობა უხდება. ასეთი ნორმატიული მოთხოვნები არა მხოლოდ განსაზღვრავს დამტკიცებისა და მონიტორინგის საქმიანობას, არამედ აწესებს შემზღუდველ ნორმებს სადაზღვევო კომპანიების მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობისა და გადახდისუუნარობის რისკის მინიმუმამდე დასაყვანად, რათა მათ შეძლონ გაუთვალისწინებელი ვალდებულებების დროულად შესრულება.

კომპანიის სადაზღვევო და არასადაზღვევო საქმიანობისთვის განკუთვნილი კაპიტალის მართვის პოლიტიკა გულისხმობს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დირექტივებით გათვალისწინებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საკმარისი ლიკვიდური აქტივების ფლობას.

მარეგულირებლის მოთხოვნა

საქართველოში სადაზღვევო სექტორი რეგულირდება „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ. „ზედამხედველობის სამსახური“ სადაზღვევო კომპანიებს უწესებს მინიმალური კაპიტალის მოთხოვნას. აღნიშნული მოთხოვნის მიზანია სადაზღვევო კომპანიებმა უზრუნველყონ საკმარისი გადახდისუნარიანობის მარჟის ოდენობა.

„ზედამხედველობის სამსახურის“ 2017 წლის 25 დეკემბრის ბრძანების №27 თანახმად, 2018 წლის 31 დეკემბრიდან მზღვეველისთვის სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 4,200 ლარზე (მოცემულია ათასებში) ნაკლები. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №45-ის მიხედვით საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა, სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე უნდა შეადგენდეს: ა) სიცოცხლის დაზღვევა: 7,200 ლარს – 2021 წლის 31 დეკემბრიდან; ბ) დაზღვევა (არა სიცოცხლის) – გარდა სავალდებულო ფორმის პასუხისმგებლობის დაზღვევისა, ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის და საკრედიტო ვალდებულებების დაზღვევისა: 4,800 ლარს – 2021 წლის 31 დეკემბრიდან, გ) დაზღვევა (არა სიცოცხლის) – სავალდებულო ფორმის პასუხისმგებლობის დაზღვევისა, ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის და საკრედიტო ვალდებულებების დაზღვევის ჩათვლით: 7,200 ლარს – 2021 წლის 31 დეკემბრიდან და დ) გადაზღვევა: 7,200 ლარს – 2021 წლის 31 დეკემბრიდან. თანხა განთავსებულ უნდა იქნას ნაღდი ფულის, ფულთან გათანაბრებული სხვა საშუალებების და ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრების სახით.

კომპანია ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული საკუთარი კაპიტალის კორექტირებას, რათა მოხდეს საზედამხედველო კაპიტალის გაანგარიშება.

კომპანია ახორციელებს კაპიტალის ოდენობის რეგულარულ მონიტორინგს, რათა გამორიცხოს მოთხოვნილი კაპიტალის დეფიციტი. იმისათვის, რომ კომპანიამ შეინარჩუნოს ან შეცვალოს კაპიტალის სტრუქტურა, შესაძლებელია მოხდეს ცვლილება ან დივიდენდის ოდენობაში ან მოხდეს საკუთარი კაპიტალის გაზრდა.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, კომპანია სრულ შესაბამისობაში იყო კაპიტალის დადგენილ მოთხოვნებთან და წინა წელთან შედარებით არ ჰქონია ადგილი კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკის, მიდგომების და პროცესების ცვლილებას.

საზედამხედველო კაპიტალი უნდა იყოს სულ მცირე გადახდისუნარიანობის მარჟის ოდენობა ან 4,200 ლარი (მოცემულია ათასებში) 2018 წლის 31 იანვრიდან პერიოდის განმავლობაში. 2021 წლის 31 დეკემბრიდან კომპანიის საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 7,200 ლარზე ნაკლები. „საზედამხედველო კაპიტალი“ განისაზღვრება ევროკავშირის მიერ დადგენილი ფასს-ებით განსაზღვრული კაპიტალით, რომელიც კორექტირდება, მაგალითად, ინვესტიციებით შვილობილ ორგანიზაციებში ან მოკავშირე საწარმოებში, არაუზრუნველყოფილი და უზრუნველყოფილი სესხებით და ა.შ, „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ №16 დირექტივის შესაბამისად.
2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია აკმაყოფილებს საზედამხედველო კაპიტალის და გადახდისუნარიანობის მარჟის მოთხოვნებს.

26 პირობითი ვალდებულებები

26.1 საბანკო გარანტიები

კომპანიას სარგებლობს ერთ-ერთი ბანკის საბანკო გარანტიით, რომლის ღირებულებაც 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 35 ათას ლარს. გირავნობის საგანია ვადიანი ანაბარი; ანაბრის თანხა 35 ათასი ლარია.

26.2 გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვალებადობით, რომლებიც ხშირად ხდება ინერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანობსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მძიმე ჯარიმებსა და საურავებს.

ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი საქართველოში, არსებითად უფრო მეტად ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლბის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

27 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ მფლობელები, საერთო დაქვემდებარების ქვეშ მყოფი კომპანიები და კომპანიის მენეჯმენტი, როგორც აღწერილია ქვემოთ.

28 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

2022 და 2021 წლების განმავლობაში კომპანიას ქონდა შემდეგი სახის ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან:

ათასი ლარი

ოპერაცია	2022 წლის პერიოდი	2021 წლის პერიოდი
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული		
მთლიანი მოზიდული პრემია	201	167
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	133	-
სხვა საოპერაციო ხარჯი	-	-
საკურსო სხვაობა	2	3
	336	170

ათასი ლარი

ბალანსი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	189	286
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	84	9
ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან	20	-
	293	295

ათასი ლარი

	2022 წლის პერიოდი	2021 წლის პერიოდი
უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობა	120	121

29 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანაგარიშგებო პერიოდის შემდგომ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგებაში განმარტებით შენიშვნას.

მმართველობითი ანგარიშგება

კომპანიის 2022 წლის საქმიანობის მიმოხილვა

მისია

სს „გრინ დაზღვევა საქართველო“ მიზნად ისახავს, შექმნას კონკურენტული, მომხმარებელზე ორიენტირებული სადაზღვევო პროდუქტები და სადაზღვევო მომსახურების გაწევის მოქნილი გზები.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი პრინციპები

- ✓ კომპანია ახორციელებს მაღალი ხარისხის, სადაზღვევო მომსახურებას და მუდმივად ცდილობს არ ჩამორჩეს ბაზარზე შექმნილ სამომხმარებლო ამოცანებს.
- ✓ კომპანია იყენებს და ნერგავს თავისი საქმიანობის სფეროში ადგილობრივ თუ საერთაშორისო ბაზარზე საუკეთესო პრაქტიკით რეკომენდირებულ მეთოდებს.
- ✓ კომპანია ითვალისწინებს სადაზღვევო ბაზრის კონიუნქტურას და ინტენსიურად მუშაობს ახალი პროდუქტების შემუშავებისა და დანერგვის კუთხით.
- ✓ კომპანია მომხმარებლებთან და პარტნიორებთან ურთიერთობას წარმართავს ურთიერთპატივისცემისა და ნდობის საფუძველზე.
- ✓ კომპანია ზრუნავს კლიენტებსა და პარტნიორებთან გრძელვადიანი თანამშრომლობის ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაზე
- ✓ კომპანია ზრუნავს თანამშრომლების პროფესიული ზრდის შესაძლებლობაზე

ამოცანები

- ✓ კომპანია მიზნად ისახავს სადაზღვევო მომსახურების ინოვაციური პროდუქტებისა და მომსახურების შექმნასა და შეთავაზებას. ასევე, არსებული ბიზნეს მიმდინარეობის დახვეწასა და გაუმჯობესებას.
- ✓ კომპანიის მიზანია განახორციელოს თავისი ბიზნეს სტრატეგია სადაზღვევო ბაზრის განვითარებასთან და წარმოქმნილ საკითხებთან მიმართებაში.

კომპანიის შესახებ

სს გრინ დაზღვევა საქართველო ბაზარზე 2013 წლიდან არსებობს, თუმცა 1 წლის 27 თებერვლამდე ცნობილი იყო როგორც სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა“, რომელიც დაარსდა 2013 წელს 100% -იანი თურქული ინვესტიციით. კომპანია სთავაზობს მომხმარებელს სადაზღვევო მომსახურების ფართო არჩევანს. კომპანიას სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ“ არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზია მიენიჭა 2013 წლის 11 ოქტომბერს, ლიცენზიის სერტიფიკატის ნომერია # NL013, ხოლო 2020 წლის 02 ნოემბერს სიცოცხლის დაზღვევის ლიცენზია # L019.

სს „გრინ დაზღვევა საქართველო“-ს მმართველობა ხორციელდება აქციონერთა კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მეშვეობით. ორგანიზაციული სტრუქტურა, არის მართვის სისტემის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. კომპანიის მმართველობა იაზრებს, რომ სწორად მოწყობილ სტრუქტურას შეუძლია კომპანიის მომგებიანობის მნიშვნელოვანი ზრდა. მართვის პროცესში გამჭვირვალობა და ინფორმაციის ღიაობა არის კომპანიის მყარი განვითარების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი.

კომპანიის მიზანია მაღალი ხარისხის მომსახურებით, მოქნილი პროცედურებისა და თითოეული დაზღვეულის მოთხოვნებზე მორგებული სადაზღვევო პროდუქტების მიწოდებით მაქსიმალური კომფორტი შეუქმნას მომხმარებლებს. მომხმარებელზე ორიენტირება და ინოვაციური მიდგომების გამოძახილია ექსკლუზიური

პროდუქტი - მოტოციკლის დაზღვევის პაკეტი, აღნიშნულ პროდუქტს საქართველოს მასშტაბით ძირითადად გრინ დაზღვევა საქართველო სთავაზობს მომხმარებელს.

2020 წლის 24 დეკემბრიდან სს "გრინ დაზღვევა საქართველოს" B კლასის 9,000,000 აქცია (ISIN GE1100003965) დაშვებულ იქნა საქართველოს საფონდო ბირჟის B კატეგორიის ლისტინგში და სავაჭრო სისტემაში. აქციებს მიენიჭა საბირჟო კოდი (ტიკერი) - GIGB. აქციების ემისიის შედეგად მოზიდული ფულადი სახსრები მიმართული იქნება კომპანიის სამომავლო სტრატეგიასა და მიზნების განსახორციელებლად.

კომპანიისთვის აქტუალურია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) საკითხების გააქტიურება. სს „გრინ დაზღვევა საქართველო“ აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა სოციალურ ღონისძიებებში და ყოველთვის მზადაა გამოეხმაუროს ქვეყანაში აქტუალურ ღონისძიებებს

რას ვსაქმიანობთ

სს „გრინ დაზღვევა საქართველო“ მომხმარებლებს სთავაზობს შემდეგ ძირითად პროდუქტებს:

- ✓ ავტომობილის დაზღვევა;
- ✓ მოტოციკლის დაზღვევა;
- ✓ ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა დაზღვევა მესამე პირის წინაშე;
- ✓ მძღოლის, მგზავრების ან ეკიპაჟის დაზღვევა უბედური შემთხვევებისაგან;
- ✓ მანქანა-დანადგარების დაზღვევა;
- ✓ ფინანსური რისკების დაზღვევა;
- ✓ სამშენებლო რისკების დაზღვევა;
- ✓ სახმელეთო გადამზიდველის პასუხისმგებლობის დაზღვევა:
    - საერთაშორისო ექსპედიტორის პასუხისმგებლობის დაზღვევა;
    - კონტეინერების დაზღვევა;
- ✓ ტვირთის დაზღვევა;
- ✓ ქონების დაზღვევა;
    - ფიზიკური პირების ქონების დაზღვევა;
    - კორპორატიული ქონების დაზღვევა;
- ✓ სამშენებლო რისკების დაზღვევა;
- ✓ პასუხისმგებლობის დაზღვევა:
    - სამოქალაქო (ზოგადი) პასუხისმგებლობის დაზღვევა;
    - პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა;
    - დამსაქმებლის პასუხისმგებლობის დაზღვევა;
    - დაცვის სამსახურის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა;
    - აუდიტორთა პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა;
- ✓ სამოგზაურო დაზღვევა
    - საზღვარგარეთ მოგზაურთა დაზღვევა;
    - საქართველოში მოგზაურთა დაზღვევა.

- ✓ მასობრივი თავშეყრის ობიექტების მფლობელების მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა
- ✓ სიცოცხლის დაზღვევა

კომპანიამ 2020 წლის 02 ნოემბრიდან ახალი სადაზღვევო პროდუქტი შესთავაზა მომხმარებელს - სიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიის მოპოვების შემდეგ, სს „გრინ დაზღვევა საქართველო“ საქმიანობს არა მარტო არასიცოცხლის დაზღვევის სეგმენტში, არამედ იგი უფლებამოსილია დააზღვიოს დაინტერესებული პირის სიცოცხლე, როგორც დამზღვევის მიერ არჩეული სადაზღვევო ლიმიტით, ასევე საბანკო კრედიტის შემთხვევაში სესხის მოცულობის შესაბამისად.

სააქციო კაპიტალი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საზოგადოების ნებადართული კაპიტალი შეადგენს 15 000 0000 (თხუთმეტი მილიონ) ლარს.

საზოგადოების გამოშვებული აქციები დაყოფილია შემდეგი კლასის აქციებად:

- ✓ A კლასი - 4,350,000 (ოთხი მილიონ სამას ორმოცდაათი ათასი) ცალი აქცია, ერთი აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 (ერთი) ლარი. A კლასის 1 (ერთი) აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას;
- ✓ AA კლასი - 1,650,000 (ერთი მილიონ ექვსასორმოცდაათი ათასი) ცალი აქცია, ერთი აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 (ერთი) ლარი. AA კლასის 1 (ერთი) აქცია უზრუნველყოფს 15 (თხუთმეტი) ხმის უფლებას.
- ✓ B კლასი - 9,000,000 (ცხრა მილიონი) ცალი აქცია, ერთი აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 (ერთი) ლარი. B კლასის 1 (ერთი) აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა:

- ✓ A კლასი - 4, 350,000 (ოთხი მილიონ სამასორმოცდაათი) ცალი აქცია;
- ✓ AA კლასი - 1, 650,000 (ერთი მილიონ ექვსასორმოცდაათი) ცალი აქცია;
- ✓ B კლასი - 9,000,000 (ცხრა მილიონი) ცალი აქცია.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განთავსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა:

- ✓ A კლასი - 4, 350,000 (ოთხი მილიონ სამასორმოცდაათი) ცალი აქცია;
- ✓ AA კლასი - 1, 650,000 (ერთი მილიონ ექვსასორმოცდაათი) ცალი აქცია;
- ✓ B კლასი - 4,051,059 (ოთხი მილიონ ორმოცდათერთმეტი ათას ორმოცდაცხრამეტი) ცალი აქცია.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის A და AA კლასის აქციების მესაკუთრეებს წარმოადგენდნენ:

- ✓ (50%) სს „მეტრო ავრასია ინვესთმენთ ჯორჯია“:

  A კლასი - 2,175,000 ცალი აქცია;

  AA კლასი - 825,000 ცალი აქცია.

- ✓ (50%) შპს „ახალი საინვესტიციო შესაძლებლობები“:

  A კლასი - 2,175,000 ცალი აქცია:

  AA კლასი - 825,000 ცალი აქცია,

B კლასის აქციების მესაკუთრეებს წარმოადგენდნენ:

- ✓ (49.369%) შპს „ახალი საინვესტიციო შესაძლებლობები“

  B კლასი - 2,000,000 ცალი აქცია;

- ✓ (43.692%) სს „მეტრო ავრასია ინვესთმენთ ჯორჯია“

  B კლასი - 1,770,000 ცალი აქცია;

- ✓ (4.443%) სს „მეტრო ატლას ჯორჯია“

  B კლასი - 180,000 ცალი აქცია;

- ✓ (2.468%) სს „მეტრო ქონსტრაქშენ“

  B კლასი - 100,000 ცალი აქცია.

- ✓ (0,028%) განთავსებული B კლასის აქციების ნომინალური მფლობელები/მესაკუთრეები.

  B კლასი - განთავსებული - 1,059 ცალი აქცია

2022 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ს.ს. „გრინ დაზღვევა საქართველო“ აწარმოებდა სარეკლამო კამპანიებს ძირითადი სოციალური ქსელების მეშვეობით, რომ კომპანიის სახელი ასოცირებულიყო სადაზღვევო პროდუქტებთან, დაზღვევის სანდოობასთან და შეენარჩუნებინა როგორც არსებული ლოიალური მომხმარებლები, ასევე მოეზიდა ახალი მომხმარებლები და მათი ყურადღება მიეპყრო, მათთვის სხვადასხვა აქციების შეთავაზების გზით.

კომპანიის ძირითად საკომუნიკაციო არხად განსაზღვრული იყო სოციალური ქსელი, კერძოდ Facebook (10 000+ უნიკალური ადამიანით), ბიზნეს საკომუნიკაციო არხი LinkedIn და Instagram პლატფორმა. ფასიანი რეკლამა განთავსდა ზემოაღნიშნულ საკომუნიკაციო არხებზე.

მომხმარებელს საშუალება ჰქონდათ სოციალური ქსელის საშუალებით, კომფორტულად და მარტივად მიეღოთ ინფორმაცია ამა თუ იმ პროდუქტზე ან აქციაზე, ასევე Facebook და Instagram Messenger-ის საშუალებით სამუშაო პერიოდში მაქსიმალურად შემოკლებულ ვადებში ხდებოდა დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციის მიწოდება ან დაკავშირება შესაბამის პირთან კომპანიაში.

ასევე, მოკლე ტექსტური შეტყობინებების გამოყენებით ჩვენი ლოიალური მომხმარებლებისთვის გაკეთდა კონკრეტული აქციის ფარგლებში ფასდაკლების შეთავაზება.

აქტიურად მიმდინარეობდა სადაზღვევო პროდუქტების კამპანიები. მოტოციკლის დაზღვევის პროდუქტის რეკლამირებისთვის დაკორექტირდა კომპანიის ვიდეორგოლი, რომელიც გაეშვა სოც. ქსელებში.

შეიქმნა კომუნიკაციის ახალი სტილი თითოეული პროდუქტისთვის, რამაც მომხმარებლების მხრიდან დიდი დაინტერესება გამოიწვია. სოციალური ქსელში გაზიარდა კმაყოფილი მომხმარებლების უკუკავშირი, რითაც ხაზი გაესვა კომპანიის ბიზნეს-საქმიანობის პროდუქტიულობასა და წარმატებას.

ბრენდის სახელის პოპულარიზაციის მიზნით კომპანიის ლოგოტიპით დაიბრენდა პარტნიორი კომპანიის სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც გადაადგილდებიან ქვეყნის მასშტაბით და რომლითაც სარგებლობს საზოგადოების დიდი ნაწილი.

წლის ბოლოსთვის კომპანიამ მომხმარებლებს შესთავაზა განსაკუთრებული პირობების, განახევრებული ტარიფისა და საზღვარგარეთ რეგისტრირებული ავტომობილების დაზღვევის აქციები, რომლებიც ასევე გაეშვა სოც. ქსელებში და შესაბამისი ბიუჯეტით დარეკლამდა.

„გრინ დაზღვევა საქართველო“ წარდგენილ იქნა ნომინაციაში საუკეთესო წლიური ანგარიშის და გამჭვირვალობის ჯილდოს - BARTA 2022 წლის ცერემონიაზე და დაჯილდოვდა მონაწილის სერთიფიკატით. კონკურსი ჩატარდა მსოფლიო ბანკის და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის ეგიდით.

თანამშრომლებში მოტივაციისა და შრომის ნაყოფიერების გაზრდისთვის, კომპანია ისევ მათ წახალისებას სხვადასხვა საშუალებით. ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებას და მათთვის საჭირო თემატურ ტრენინგებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მიღებას. წლის ბოლოს განხორციელდა თანამშრომელთა წამახალისებელი და გუნდური აქტივობები, რაც მიზნად ისახავს მომავალში მათ უფრო მჭიდრო ურთიერთანამშრომლობასა და გუნდურობის ქცევის გამომუშავებას.

რეგიონული განვითარება

ბათუმში გაყიდვების სააგენტო ქსელის საშუალებით განხორციელდა ბეჭდური სარეკლამო მასალის გავრცელება, სადაზღვევო პროდუქტების შეთავაზება და გაყიდვა. სადაზღვევო აგენტებისთვის დაიგეგმა და ჩატარდა სპეციალური ტრენინგების სერია, რომელიც მიზნად ისახავდა მათთვის უფრო დეტალური ინფორმაციის მიწოდებას კომპანიის თითოეულ სადაზღვევო პროდუქტზე და მათი გაყიდვის ხერხებს. ტრენინგები ჩატარდა გრინ დაზღვევა საქართველოს გაყიდვების დეპარტამენტის მიერ.

კომპანიამ 2022 წელი დაასრულა შემდეგი მაჩვენებლებით

	2022 წელი	2021 წელი
წმინდა მოზიდული პრემია	**3,178**	**2,683**
წმინდა გამომუშავებული პრემია	**3,315**	**2,496**
წმინდა ზარალები	**(895)**	**(365)**
შემოსავალი რეგრესიდან	206	77
აკვიზიციური ხარჯები	(190)	(60)
გაუფასურების რეზერვის აღდგენა	-	-
	2,436	**2,148**
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(1,547)	(1,308)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	448	588
კურსთაშორის სხვაობა	(1,585)	(568)
	(248)	**860**
Loss Ratio	21%	12%
Expense Ratio	52%	55%
Combined Ratio	**73%**	**66%**

კომპანიის სადაზღვევო საქმიანობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს დამდგარი ვალდებულებების დროულად შესრულება და სადაზღვევო ანაზღაურების დადგენილ ვადაში ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომპანიაში არ არის დაფიქსირებული არცერთი პრეტენზია/სარჩელი კომპანიის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით.

2022 წლის 12 თვეში კომპანიამ აანაზღაურა 689 ათასი ლარის ოდენობით დამდგარი ზარალები და ზარალების დარეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯების მოცულობამ შეადგინა 12 ათასი ლარი, ხოლო რეგრესის წესით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 206 ათასი ლარი.





წარმოგიდგენთ მოზიდული პრემიის გრაფიკულ გამოსახულებას წლების მიხედვით.



კორპორაციული მართვა

კომპანიის კორპორაციული მართვის პრინციპები სრულად შეესაბამება ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებს.

კომპანიის სტრუქტურა და მმართველობითი რგოლი მაქსიმალურადაა მორგებული ბიზნეს საქმიანობის გამარტივებასა და ეფექტურობაზე. კომპანიის სტრუქტურა შედგება ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზით დაკავშირებული ქვედანაყოფებისაგან, რომელთაგან ყველა ექვემდებარება დირექტორებს ან/და ზედამხედველ სტრუქტურულ ერთეულს. სწორედ ეს დანაყოფები არიან პასუხისმგებელი კომპანიის ოპერაციულ საქმიანობაზე.

კომპანიაში ნებისმიერი სამსახურისთვის ცალკეულად ყალიბდება პროცედურული დოკუმენტაცია, რომელიც თავის მხრივ იყოფა თითოეული თანამდებობისთვის მიკუთვნებული ფუნქცია- მოვალეობებისათვის დამახასიათებელი პროცედურების აღწერილობით. სტრუქტურის განსაზღვრასა და ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უფლება-მოვალეობების ზუსტ გამიჯვნასა და შესაბამის ინსტრუქციებში ასახვას, რათა მოხდეს შესრულებული სამუშაოს სრულად დაფარვა, ისე, რომ ეფექტურად იქნეს გამოყენებული ადამიანური თუ მატერიალური რესურსი.

აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა

აქციონერთა წლიური საერთო კრება არის აქციონერთა სავალდებულო ყოველწლიური შეკრება. აქციონერთა წლიურ საერთო კრებაზე სამეთვალყურეო საბჭო წარმოადგენს წლიურ ანგარიშს, რომელიც მოიცავს ინფორმაციას აქციონერებისთვის კომპანიის საქმიანობის შედეგების და სტრატეგიის შესახებ. ხმის უფლებების მქონე აქციონერები ხმას აძლევენ ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიცაა სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნა, აღმასრულებელი პირების ანაზღაურება, დივიდენდის გადახდა და გარე აუდიტორების შერჩევა.

ყოველწლიურად, წლიური ბალანსის შედგენიდან ორი თვის ვადაში, ტარდება მორიგი საერთო კრება, რომელზეც განიხილება წლიური შედეგები და დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა შესაძლო საკითხები. სხვა შემთხვევაში ტარდება რიგგარეშე საერთო კრება გენერალური დირექტორის, ან სამეთვალყურეო საბჭოს ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში აქციონერთა მოთხოვნით. საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას – მოადგილე, მოადგილის არყოფნისას კი – გენერალური დირექტორი. მათი არყოფნისას კრების თავმჯდომარეს ხმათა უბრალო უმრავლესობით ირჩევს საერთო კრება.

საერთო კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, თუ ხმების 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერი მიიღებს გადაწყვეტილებას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ეს გადაწყვეტილება კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად. ამ შემთხვევაში დანარჩენ აქციონერებს ეგზავნებათ შეტყობინება მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. თუ ამ პუნქტში აღნიშნულ აქციათა რაოდენობას ფლობს ერთ აქციონერზე მეტი, აქციონერთა საერთო კრების ჩატარება სავალდებულოა.

საერთო კრება უფლებამოსილია:

- ✓ მიიღოს ცვლილებები საზოგადოების წესდებაში;
- ✓ მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;
- ✓ მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების საწესდებო კაპიტალის გაზრდისა და დამატებითი აქციების გამოშვების, პრივილიგირებული აქციებისა თუ აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვების შესახებ;
- ✓ მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერის მიერ ფასიანი ქაღალდების უპირატესი შესყიდვის უფლება (ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში);
- ✓ მიიღოს ან უარყოს გენერალური დირექტორის ან სამეთვალყურეო საბჭოს წინადადება მოგების გამოყენების შესახებ, ან როცა ეს ორგანოები ვერ იძლევიან წინადადებას, მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;
- ✓ აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან გამოიწვიოს/გაათავისუფლოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან; (აღნიშნული წარმოადგენს მხოლოდ (A) და (AA) კლასის აქციონერ(ებ)ის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას)

- ✓ დაამტკიცოს გენერალური დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშები;
- ✓ აირჩიოს აუდიტორი;
- ✓ მიიღოს გადაწყვეტილებები სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამ პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით;
- ✓ მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების ქონების შეძენის, გასხვისების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) ან დატვირთვის შესახებ, რომელთა ღირებულება შეადგენს ან აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების ნახევარს, გარდა ისეთი გარიგებებისა, რომლებიც წარმოადგენს ჩვეულებრივ სამეწარმეო საქმიანობას.

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო შედგება არანაკლებ სამი წევრისაგან. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს საერთო კრება ირჩევს 1 (ერთი) წლის ვადით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უფლებამოსილება უგრძელდება ვადის გასვლის შემდეგ მორიგი საერთო კრების მოწვევამდე. ამასთანავე ერთი და იმავე პირის განმეორებით არჩევა შეუზღუდავია. ვადამდე გადარჩევა შესაძლებელია საერთო კრების მიერ ნებისმიერ დროს. ყოველ წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს გადადგეს. თუ წევრის გასვლიდან 6 თვის განმავლობაში არ აირჩა სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი, მაშინ სასამართლოს საზოგადოების იურიდიული მისამართის მიხედვით შეუძლია ერთ-ერთი აქციონერის ან სამეთვალყურეო საბჭოს განაცხადით დანიშნოს ახალი წევრი.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც აკმაყოფილებს „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულ შესაბამისობის კრიტერიუმებს.

სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენციები

სამეთვალყურეო საბჭო:

- ✓ კონტროლს უწევს დირექტორების საქმიანობას;
- ✓ ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს დირექტორებისაგან საზოგადოების საქმიანობის ანგარიში;
- ✓ შეუძლია გააკონტროლოს და შეამოწმოს საზოგადოების ფინანსური დოკუმენტაცია, ასევე ქონებრივი ობიექტები, კერძოდ, საზოგადოების სალარო და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა; მას შეუძლია ეს დაავალოს ცალკეულ წევრებს ან განსაზღვრულ ექსპერტებს;
- ✓ იწვევს საერთო კრებას, თუ ამას საზოგადოების აუცილებლობა მოითხოვს;
- ✓ ამოწმებს წლიურ ანგარიშებს, მოგების განაწილების წინადადებას და ამის თაობაზე მოახსენებს საერთო კრებას;
- ✓ ნიშნავს გენერალურ დირექტორს და დირექტორებს, ასევე, საჭიროებისამებრ, მათთან დებს და წყვეტს ხელშეკრულებებს.

მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი საქმიანობა:

- ✓ საწარმოს 50%-ზე მეტი წილის შეძენა და გასხვისება;
- ✓ ფილიალების დაარსება და ლიკვიდაცია;
- ✓ წლიური ბიუჯეტისა და გრძელვადიანი ვალდებულებების მიღება;
- ✓ ვალდებულებათა აღება და უზრუნველყოფა, რომლებიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას; დაუშვებელია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორების ვალდებულებათა უზრუნველყოფა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულია საერთო კრების მიერ;
- ✓ დირექტორების უფლებამოსილების ფარგლების დადგენა;
- ✓ ახალი სახის ეკონომიკური საქმიანობის დაწყება ან არსებული სახის საქმიანობის შეწყვეტა;
- ✓ სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა;

- ✓ სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გამოწვევა;
- ✓ საზოგადოების აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- ✓ ხელმძღვანელი პირებისათვის მოგებასა და მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობის განსაზღვრა, მათი საპენსიო უზრუნველყოფის პრინციპების დადგენა და საერთო კრებისთვის დასამტკიცებლად წარდგენა;
- ✓ საზოგადოების ქონების შეძენის ან გასხვისების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, რომელთა ღირებულება აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას;
- ✓ იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება, რომელიც კანონით არ განეკუთვნება საერთო კრებისა და დირექტორების კომპეტენციას.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კვარტალში ერთხელ მაინც. მოწვევა უნდა გაკეთდეს წერილობით (მათ შორის ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი შესაბამისი შეტყობინება), სულ ცოტა 8 დღით ადრე, სავარაუდო დღის წესრიგით. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება სხვა წევრებით იყვნენ წარმოდგენილი, ოღონდ ერთი წევრი – ერთი სხვა წევრით.

დირექტორები

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს შორის პერიოდში საზოგადოების საქმიანობას წარმართავენ დირექტორები. საზოგადოების დირექტორი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც აკმაყოფილებს „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულ შესაბამისობის კრიტერიუმებს. საზოგადოებას ჰყავს 3 (სამი) დირექტორი, რომლებიც ცალ-ცალკე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარმოადგენენ საზოგადოებას წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში, ამავე წესდებით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით.

დირექტორების უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება შემდეგნაირად: გენერალური დირექტორის უფლებამოსილების ვადაა 4 (ოთხი) წელი, ხოლო ფინანსური დირექტორისა და გაყიდვების დირექტორის უფლებამოსილების ვადა შეადგენს 1 (ერთი) წელს. ამასთანავე დირექტორების განმეორებით დანიშვნა შეუზღუდავია.

საზოგადოების გენერალური დირექტორი საზოგადოების მთავარი აღმასრულებელი პირია. საზოგადოების გენერალურ დირექტორს აქვს სრული ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

აუდიტის კომიტეტი

2020 წელს გრინ დაზღვევა საქართველომ აქციები განათავსა საქართველოს საფონდო ბირჟაზე, რითიც გახდა პირველი სადაზღვევო კომპანია საქართველოში რომელიც დაშვებულ იქნა საქართველოს საფონდო ბირჟის B კატეგორიის ლისტინგში და სავაჭრო სისტემაში.

გრინ დაზღვევა საქართველომ, როგორც ანგარიშვალდებულმა საწარმომ საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონის 9[1] მუხლისა და მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 13[1] მუხლის დაცვით, შექმნა აუდიტის კომიტეტი, რომელიც აკონტროლებს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების უტყუარობას, უზრუნველყოფს შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობას და შიდა აუდიტის დამოუკიდებლობას, წარმართავს გარე აუდიტორთან ურთიერთობას.

აუდიტის კომიტეტი არის სამეთვალყურეო საბჭოს ქვეკომიტეტი და დაკომპლექტებულია მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან. აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია შიდა კონტროლის ფუნქციების შესრულების მონიტორინგზე, შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ წლიური სამოქმედო გეგმის შესრულების დაგეგმვასა და ზედამხედველობაზე, გარე დამოუკიდებელ აუდიტორებთან კომუნიკაციაზე. კომიტეტი ასევე რეკომენდაციას უწევს სამეთვალყურეო საბჭოს შიდა კონტროლის მექანიზმების შესაძლო სისუსტეზე.

აუდიტის კომიტეტი აგრეთვე ზედამხედველობას უწევს კომპანიის შესაბამისობას კორპორაციული მართვის, მოსყიდვისა და კორუფციის თავიდან აცილების, ინტერესთა კონფლიქტისა და გამჟღავნების თაობაზე არსებულ

პოლიტიკებსა და პროცედურებთან. კომიტეტი არის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული და ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს.

ძირითადი რისკები და გამოწვევები

კომპანიას, თავისი პოლიტიკის შესაბამისად, ლიკვიდური აქტივების დიდი ნაწილი აქვს განთავსებული უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, მისი მგრძნობელობა უცხოური ვალუტის გაცვლით კურსთან მიმართებაში საკმაოდ მაღალია. ღია სავალუტო პოზიცია ასახულია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციასთან ბრძოლის პოლიტიკა

კომპანიის მიზანია დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამორიცხოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევები. ამ მიზნით სს „გრინ დაზღვევა საქართველო“ მოქმედებს დამტკიცებული ინსტრუქციით „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით, პრევენციული ღონისძიებების გატარების, რისკის შემცველი გარიგების თაობაზე ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის შესახებ“ .

აღნიშნული ინსტრუქცია შემუშავებულია საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის N1, N2, N3, N4, N5 ბრძანების, სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის რეკომენდაციებისა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

წინამდებარე ინსტრუქცია არეგულირებს ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტების შესაბამისად სადაზღვევო კომპანიის მიერ პრევენციული ღონისძიებების გატარების, რისკის შემცველი გარიგების თაობაზე ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის, აგრეთვე, ინსტრუქციის შესრულებაზე შიდა კონტროლის განხორციელების წესს.

კომპანიის სხვადასხვა პოლიტიკა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის მიზანია კომპანიის პერსონალური მონაცემების შესახებ საქართველოს კანონისა და საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, საჭირო პროცესების და რეგულაციების დანერგვა და შესრულება. ამ კუთხით კომპანია უზრუნველყოფს მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების დაცვას უკანონო და არამიზნობრივი გამოყენებისგან.

კომპანიას, საქმიანობისას მოპოვებული პერსონალურ მონაცემთა კატალოგები, კანონისა და შესაბამისი რეგულაციების საფუძველზე, განთავსებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის აპარატის ოფიციალურ ვებ - გვერდზე.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის პოლიტიკა

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის რეკომენდაციით, კომპანიას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ინსტრუქცია მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ. აღნიშნულში დეტალურად და ამომწურავად არის გაწერილი ყველა ის ეტაპი, რომელსაც გაივლის კომპანიის წინაშე გაცხადებული ნებისმიერი სახის პრეტენზია.

დოკუმენტში მკაცრადაა რეგლამენტირებული პრეტენზიის დაფიქსირების, შესწავლისა და განხილვის, ასევე პრეტენზიის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მხარისადმი გაცნობის პროცედურა და ვადები.

შიდა აუდიტის პოლიტიკა

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად კომპანიას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს, ასევე, შიდა აუდიტის სამსახურის პოლიტიკა შიდა აუდიტორული შემოწმების ჩატარების წესი.

შიდა აუდიტის სამსახურის მიზანია კომპანიის საქმიანობის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი შეფასება საოპერაციო ეფექტიანობის, რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემების გაუმჯობესების მიზნით. კომპანიის მიზანია შიდა აუდიტის წარმოებით კომპანიის მიმდინარე საქმიანობის შემოწმება საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობისა და მართებულობის დასადგენად. ამ საქმიანობის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება, სამართლებრივი აქტების, შიდა პროცედურების/წესების დაცვის კონტროლი და მართვის შიდა სისტემების შეფასება.

სამომავლო გეგმები

კომპანია 2023 წლის განმავლობაში პერიოდულად განაახლებს სადაზღვევო პროდუქტებს და მოახდენს მათ შესახებ ინფორმაციის საჭირო არხებით გავრცელებას. ასევე, პროდუქტის გაცნობა/პოპულარიზაციის საჭიროების მიხედვით დაიგეგმება აქციები და წამახალისებელი აქტივობები.

კომპანია, წელსაც მოახდენს გასული წლის საქმიანობის/აქტივობების ანალიზს, გამოავლენს და გააძლიერებს წარმატებულ პროექტებს და განსაზღვრავს მომავალი წლის პერსპექტივებს, კომპანია ასევე განაგრძობს ზრუნვას ერთგულ მომხმარებელზე, ინარჩუნებს მათ კონკურენტუნარიანი შეთავაზებითა და ინდივიდუალური მომსახურების სერვისით.

"გრინ დაზღვევა საქართველო" გააგრძელებს სოციალური სივრცეების, ონლაინ პლატფორმების - Facebook-ის და Instagram-ის აქტიურობას და მომხმარებლის ინფორმირებულობაზე ზრუნვას.

ჩვენი სარეკლამო კამპანიების მიზანია შეიქმნას ცნობიერება, რომ „გრინ დაზღვევა საქართველო" ასოცირდებოდეს მომხმარებლებისთვის სანდო, კომფორტულ ბიზნეს პარტნიორად.

გრინ დაზღვევა საქართველო კვლავ აპირებს სასპონსორო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებას, რომლებიც დაიგეგმება როგორც დაზღვევის დღესთან დაკავშირებით, ასევე სხვა კონკრეტულ სადაზღვევო პროდუქტებთან დაკავშირებით.

გენერალური დირექტორი	ფინანსური დირექტორი
ეკა ცენტერაძე	ლევან ელიაური
31 მარტი 2023 წ.	31 მარტი 2023 წ.